პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

№ 189 (11193)
კვირა,
17
აგვისტო
1958 წ.

ფასი 20 კაპ.

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, თბილისის კომიტეტისა და საქართველოს სსრ მშრომელთა დეპუტატების საბჭოების ორგანო

КОМУНИСТИ — ОРГАН ЦК и ТК КП ГРУЗИИ и СОВЕТОВ ДЕПУТАТОВ ТРУДЯЩИХСЯ ГРУЗИНСКОЙ ССР

დღეს თბილისში „დინამოს“ სტადიონზე იხსნება მოსწავლეთა მეხუთე საკავშირო სპარტაკიადა, სწავლასა და სპორტში ახალ გაბედულ ნაბიჯებს გისურვებთ, ჩვენი ქვეყნის ქალიშვილებო და ჭაბუკებო! სალამი სპარტაკიადის მონაწილეებს!

ყოველმხრივ მომზადებული შევხვდეთ ახალ სასწავლო წელს

სადაც არის კარს მოგვადგება ახალი სასწავლო წელი სკოლებში. საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტისა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს შეუნელებელი ყურადღებით, მათი მზრუნველობით ამ ახალი სასწავლო წლისათვის რესპუბლიკის სკოლების მოსამზადება ნამდვილ სახალხო საქმედ იქცა. მასში ენთუზიაზმით ჩაებნენ საბჭოთა, სამეურნეო, პროფკავშირული, კომკავშირული ორგანიზაციები, საწარმოები, საბჭოთა მეურნეობები, კოლმეურნეობები, შეფი ორგანიზაციები. რესპუბლიკაში გაჩაღდა სოციალისტური შეჯიბრება ზოგადსაგანმათლებლო, მუშა და კოლმეურნეთა ახალგაზრდობის სკოლების, სკოლა-ინტერნატების, საბავშვო დაწესებულებების ახალი სასწავლო წლის შესახვედრად ადრეულ მომზადებისათვის. მთელი ხალხის საქმიანობა მიმდინარეობს ყოველ მოზარდი თაობის კომუნისტური აღზრდის, იმ ახალი პრინციპების გატარების ნიშნით, რომლებიც პარტიამ და მთავრობამ დასახეს, იმ გზით, რაც გვიჩვენა ამხანაგმა ნ. ს. ხრუშჩოვმა თავის ცნობილ გამოსვლაში საკავშირო ალკა XIII ყრილობაზე — მოვამზადოთ მოზარდი თაობა ცხოვრებისათვის, აღვზარდოთ საზოგადოებრივად სასარგებლო შრომის სიყვარული და აქტივსცემა, მივაჩვიოთ იგი შრომას, ზოგად განათლებასთან ერთად მივცეთ მას პრაქტიკული ცოდნა, რომელიც გამოსადეგი იქნება შრომაში, კომუნიზმის მშენებლობაში.

სწორედ ამ პრინციპებიდან გამომდინარეობს რესპუბლიკაში ამჟამად გატარებული ყველა ღონისძიება, ამასვე ემსახურება ქართველეთა ცნობილი მოწოდება ყველა სკოლის ერთ ცვლად სწავლებაზე გადაყვანის შესახებ, რასაც მთელი რესპუბლიკა მხურვალედ გამოეხმაურა. ქობულეთელი შრომელები აფართოებენ საკოლო შენობებს, აშენებენ ახალ ოთახებს, აწყობენ სასწავლო კაბინეტებსა და ლაბორატორიებს სკოლებში; 11 სკოლა შენდება მარტო მახარაძის რაიონში, რაიონის ძალებით. სასიხარულო ცნობები მოდის ადგილებიდან სასკოლო მშენებლობის საქმეში მიღებულ წარმატებებზე.

მაგრამ მთელ რიგ რაიონებში, სამწუხაროდ, ჯერ კიდევ ისმის ბუტყვები — „ავაშენებთ“, „მივაშენებთ“, „მოვაწყობთ“, ხოლო ასიამოვნო დაპირებათა შესრულება ჭიანურდება. სასწავლო წელი კი გვიახლოვდება. შეფი ორგანიზაციებისაგან სკოლები „დეკორაციებიდან“ საქმეზე გადასვლას მოითხოვენ. ფოთის ნავსადგური — მე-6 საშუალო სკოლის შეფი ორგანიზაცია დამშვიდებით ელოდება იმას, რომ ამ სკოლის ძირძველ ადგილზე აფართოებენ საკოლო შენობებს, ამზადებენ ადგილს ლაბორატორიებისა და ლაბორატორიებისა და ლაბორატორიებისა

ლის კაპიტალური რემონტისათვის გამოყოფილი 120 ათასი მანეთი ჯერ კიდევ აუთვისებელია.

სამტრედიის რაიონის სოფელ კულაშის ვანო სტურუას სახელობის საშუალო სკოლის მშენებლობა სრულიად არადამაკმაყოფილებლად მიმდინარეობს. საერთოდ, ამ რაიონში მრავალი შეფი ორგანიზაცია უდარდელად ეკიდება ნაკისრი ვალდებულებების შესრულებას.

დარჩენილი მცირე დრო უნდა გამოცხადდეს დაკვრითი მუშაობის ორკვირეულად.

ახალი სასწავლო წლისათვის მზადება მარტო მშენებლობით როდი ამოიწურება. სკოლები რომ ყოველმხრივ მზად შეხვდნენ 1 სექტემბერს, ბევრი რამ იქნება გასაკეთებელი. უნდა უზრუნველყოთ სკოლების მომარაგება სახელმძღვანელოებით, სასკოლო ინვენტარით, სასწავლო ხელსაწყოებით, სათანადოდ მოწყობილი სახელოსნოებით, საცდელი ნაკვეთებით.

მუდამ ყურადღების ცენტრში უნდა გვყავდეს მოზარდი თაობის კომუნისტურად აღზრდის საქმეში მთავარი რგოლი — პედაგოგიური კადრები. მასწავლებელი, რაც უნდა მომზადებული იყოს, კვალიფიკაციის შეუნელებელ ამაღლებას საჭიროებს. სწორედ ამას ემსახურება რესპუბლიკაში გახსნილი მასწავლებელთა კვალიფიკაციის ასამაღლებელი კურსები. ამ ზაფხულს ეს კურსები ასობით პედაგოგმა გაიარა. განსაკუთრებული მზრუნველობა და ყურადღება სჭირდებათ ახალგაზრდა პედაგოგებს. წელს ხუთასზე მეტი ახალგაზრდა მასწავლებლის — უმაღლესი სასწავლებლის ახლად კურსდამთავრებული განაწილებული სკოლებში.

ზაფხულის არდადეგების პერიოდში დასვენებულ, ფიზიკურად გაკაჟებულ მოსწავლეთა არმია მალე დაიკრება სკოლებისაკენ. პიონერულმა ბანაკებმა, კურორტებმა, ტურისტულმა მოგზაურობებმა, სპარტაკიადებმა, საკოლმეურნეო მინდვრებში ნაყოფიერმა შრომამ კიდევ უფრო გაამდიდრა და მრავალფეროვანი გახადა მოსწავლეთა ცხოვრება. საამაყოა, რომ მოსწავლეთა საკავშირო სპარტაკიადა სწორედ ჩვენი რესპუბლიკის დედაქალაქში მიმდინარეობს. აქ ბედნიერი მოზარდი თაობა, რომელმაც სწავლაში თავი ისახელა, ამ დღეებში ფიზიკური წრთობის და სპორტული ოსტატობის მაგალითებს გვიჩვენებს.

მოსწავლე ახალგაზრდობა მალე დაუბრუნდება მშობლიურ სკოლებს. მას შესაფერი შეხვედრა უნდა.

ყოველმხრივ მომზადებული შეგხვდეთ ახალ სასწავლო წელს — ასეთია ამოცანა.

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალურ კომიტეტში

ამა წლის 16 აგვისტოს საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალურ კომიტეტში გაიმართა თათბირი ჩვენი ქვეყნის ქალაქებისა და სამრეწველო ცენტრების მომარაგებისათვის ბოსტნეულის, კარტოფილის, ხილისა და კენკრის წარმოების საკითხებზე. თათბირზე ამ საკითხის შესახებ გამოვიდა საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივანი და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე ამხ. ნ. ს. ხრუშჩოვი. თათბირის მუშაობაში მონაწილეობა მიიღეს საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის მდივნებმა ამხ. ნ. გ. იგნატოვმა და ამხ. ნ. ა. მუხიტდინოვმა.

ამხ. ნ. ს. ხრუშჩოვმა თავის გამოსვლაში უმნიშვნელოვანეს ამოცანად დააყენა — საკმარისად უზრუნველყოფილ იქნეს ბოსტნეულის, კარტოფილის, ხილისა და კენკრის წარმოება ამ პროდუქტებით ჩვენი ქვეყნის მთელი მოსახლეობის მოთხოვნილების სრული დაკმაყოფილებისათვის. ბოსტნეულისა და კარტოფილის წარმოების გასადიდებლად საჭიროა ქალაქებისა და სამრეწველო ცენტრების ახლოს შეიქმნას მსხვილი სპეციალიზებული საბჭოთა მეურნეობანი, რომლებიც კომპლექსური მექანიზაციისა და აგრონომიის მეცნიერების თანამედროვე მიღწევათა გამოყენების საფუძველზე შეძლებენ აწარმოონ დიდი რაოდენობის კარტოფილი და ბოსტნეული შრომისა და სახსრების ნაკლები დახარჯვით. ამ მეურნეობებისათვის საჭიროა შერჩეულ იქნენ სპეციალისტების — ამ საქმის ენთუზიასტების კარგი კადრები, მიეცეთ საჭირო რაოდენობის ტექნიკა, სასუქი; დახმარება გაეწიოთ მათ მოაწყონ კარგი სასათბურო და საკვალსათბურო მეურნეობა. ასეთ საბჭოთა მეურნეობებში იაფი ბოსტნეულისა და კარტოფილის წარმოება კოლმეურნეობებსაც აიძულებს მხარი გაუსწორონ მათ და აწარმოონ უფრო იაფი ბოსტნეული და კარტოფილი. ხოლო კოლმეურნეობებს, რომლებიც სპეციალობას იძენენ ბოსტნეულისა და კარტოფილის წარმოებაში, უნდა გაეწიოთ საჭირო დახმარება. ამხ. ნ. ს. ხრუშჩოვმა ყურადღება მიაქცია იმას, რომ საჭიროა გაფართოვდეს საბჭოთა მეურნეობებსა და კოლმეურნეობებში ბაღები და საკენკრეები, რათა უახლოეს დროში წარმოებულ იქნეს მნიშვნელოვნად მეტი ხილი და კენკრა მოსახლეობისათვის.

ამხ. ნ. ს. ხრუშჩოვმა აგრეთვე ხაზგასმით აღნიშნა, რომ საჭიროა სერიოზულად გაუმჯობესდეს ბოსტნეულის, კარტოფილისა და ხილის გადაზიდვა, შენახვა და ვაჭრობა.

თათბირს დაესწრნენ მოკავშირე რესპუბლიკების კომპარტიების ცენტრალური კომიტეტების მდივნები, მოკავშირე რესპუბლიკების სახელმწიფო საგეგმო კომისიების თავმჯდომარეთა მოადგილეები და სოფლის მეურნეობის მინისტრთა მოადგილეები, ხელმძღვანელი მუშაკები, მეცნიერები და სოფლის მეურნეობის სპეციალისტები.

თათბირის მონაწილეები გაეცნენ მუშაობის გამოცდილებას მოსკოვის ოლქის სერპუხოვის რაიონის საბჭოთა მეურნეობა „ბოლშევიკისა“, რომელიც უდიდესი მებოსტნეობის მეურნეობაა და წელიწადში აწარმოებს 30 ათას ტონაზე მეტ ბოსტნეულს.

სრულიად საკავშირო სასოფლო-სამეურნეო გამოფენის ტერიტორიაზე თათბირის მონაწილეებს აჩვენეს ახალი სასოფლო-სამეურნეო მანქანები და იარაღები კარტოფილისა და ბოსტნეულის დასამუშავებლად, აგრეთვე მანქანები ბაღებსა და საკენკრეებში სამუშაოთა მექანიზაციისათვის. იქვე თათბირის მონაწილეები გაეცნენ ბოსტნეული კულტურების გამოფენას.

თათბირის მონაწილეები გაეცნენ მეცნიერულ ნაშრომებს მოსკოვის ტიმირიაზევის სახელობის სასოფლო-სამეურნეო აკადემიის ბოსტნეულობის სადგურისას, რომელსაც აკადემიკოსი ვ. ი. ედელშტეინი ხელმძღვანელობს.

სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის ნ. ს. ხრუშჩოვის პასუხი

ორგანიზაცია „ატომური განიარაღებისათვის მოძრაობის“ გრენტვუდის განყოფილების წერილზე

1958 წლის 25 ივნისს ორგანიზაცია „ატომური განიარაღებისათვის მოძრაობის“ გრენტვუდის განყოფილებამ (ინგლისი) სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარეს ნ. ს. ხრუშჩოვს გამოუგზავნა წერილი, რომელშიც, კერძოდ, აღნიშნულია, რომ გრენტვუდის განყოფილება ყოველ ღონეს ხმარობს, რათა აიძულოს დიდი ბრიტანეთის მთავრობა და ამერიკის შეერთებული შტატების მთავრობა მიბაძონ საბჭოთა კავშირის მაგალითს, რომელმაც გამოაცხადა, რომ შეწყვიტა ატომგულის იარაღის გამოცდა.

უპასუხებს რა ატომური და წყალბადის ბომბის აკრძალვისათვის ინგლისელ მებრძოლებს, ნ. ს. ხრუშჩოვი ხაზგასმით აღნიშნავს, რომ საბჭოთა მთავრობა მზად არის იკისროს ამერიკის შეერთებული შტატებისა და დიდი ბრიტანეთის მთავრობებთან ერთად საქვეყნო ვალდებულება, რომ არავითარ გარემოებაში არ გამოიყენონ ატომგულის იარაღი, ავიაციის საშუალებით იქნება ეს, თუ რაკეტების საშუალებით. მე მინდა დაგარწმუნოთ თქვენ, წერს ნ. ს. ხრუშჩოვი, მიმართავს რა ბრენტვუდის განყოფილების ხელმძღვანელებს ბ-ნ კენეტ უილდერსა და ქ-ნ ბარბარა ფოსეტს, რომ საბჭოთა მთავრობა კვლავაც იბრძოლებს ატომგულის იარაღის აკრძალვისათვის და ყოველ ღონეს იხმარს, რათა იხსნას კაცობრიობა ატომური ომის საფრთხისაგან.

საბჭოთა მთავრობის მეთაური თავის წერილში აღნიშნავს, რომ საბჭოთა კავშირს არაერთხელ მიუმართავს წინადადებით ინგლისისა და ამერიკის შეერთებული შტატების მთავრობებისათვის ეკისრნათ ვალდებულება, რომ უარს იტყვიან ატომური და წყალბადის იარაღის გამოყენებაზე. ნ. ს. ხრუშჩოვი აღნიშნავს, რომ დიდი ბრიტანეთის მთავრობას, თუ მოისურვებს, შეუძლია ბევრი რამ გააკეთოს, რათა იხსნას თავისი და სხვა ხალხები გამალებული ატომური შეიარაღებისაგან.

მაგრამ, ნათქვამია შემდეგ წერილში, უკანაკნელი დღეების ამბები ადასტურებენ, რომ დიდი ბრიტანეთის მთავრობამ, სამწუხაროდ, სულ სხვა გზა აირჩია: იგი კვლავ, ისევე როგორც ორი წლის წინათ, მაგრამ ამჯერად ამერიკის შეერთებულ შტატებთან ერთად, ახორციელებს არაპროვოცირებულ შეიარაღებულ ინტერვენციას ახლო აღმოსავლეთში, რაც შესაძლოა მსოფლიო კონფლიქტად იქცეს.

მოაგონებს რა მათ, რომ ამერიკის შეერთებული შტატების თავდაცვის მინისტრმა ამას წინათ განაცხადა, უყოყმანოდ გამოვიყენებდი შუა აღმოსავლეთში ატომურ ბომბებიან ბომბდამშენებსო, ნ. ს. ხრუშჩოვი წერს: „... ვის შეუძლია უზრუნველყოს, რომ ამერიკის სარდლობა რაიმე სანაბით არ განახორციელებს ამ მუქარას? იმას, რომ ამგვარი შიში არ შეიძლება გაუმართლებლად მივიჩნიოთ, მოწმობს, კერძოდ, ცნობები იმის შესახებ, რომ თურქეთში, საბჭოთა კავშირის საზღვრების ახლოს, შეერთებულმა შტატებმა შექმნეს თავიანთი სამხედრო-საჰაერო ძალების ატომგულის დამკვრელი ჯგუფი“.

რამდენადაც სამხედრო კონფლიქტის გაფართოების საფრთხე ახლო და შუა აღმოსავლეთში ჯერ კიდევ არ აღმოფხვრილა, რასაც მოწმობს ამ რაიონში უცხოეთის ჯარების ჩასვლა და ახალ სამხედრო ღონისძიებათა განხორციელება ბაღდადის პაქტის ქვეყნებში, აღნიშნავს ნ. ს. ხრუშჩოვი, საბჭოთა კავშირმა მოითხოვა, რომ მოეწყოს გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალური ასამბლეის საგანგებო სესია იმ საკითხის გაწსახილველად, რომ ამერიკის შეერთებულმა შტატებმა დაუყოვნებლივ გაიყვანონ ჯარები ლიბანიდან და ინგლისმა — იორდანიიდან. საბჭოთა მთავრობის აზრით, ხაზგასმით აღნიშნავს ნ. ს. ხრუშჩოვი, შეიძლება და კიდევაც უნდა გამოინახოს ახლო და შუა აღმოსავლეთის მომწიფებულ პრობლემათა ისეთი გადაჭრა, რომელიც შეესაბამება ამ რაიონის ხალხთა სასიცოცხლო ინტერესებს, და რომელიც უზრუნველყოფს მათი სუვერენული უფლებების დაცვას ისე, რომ გათვალისწინებული იყოს დედამიწის ამ ნაწილის ქვეყნებთან დაკავშირებული ყველა სახელმწიფოს ინტერესები. (საკლესი).

ახალგაზრდა სპორტსმენთა დღესასწაული

ზ. ა. კვაშაძე,
საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე, მოსწავლეთა V სრულიად საკავშირო სპარტაკიადის მომწყობი საორგანიზაციო კომიტეტის თავმჯდომარე.

დღეს თბილისში იხსნება მოსწავლეთა V სრულიად საკავშირო სპარტაკიადა. ამ დიდ სპორტულ დღესასწაულში მონაწილეობისათვის ჩვენი დიდი სამშობლოს ყველა კუთხიდან ჩვენთან ჩამოვიდა ხუთი ათასამდე ახალგაზრდა სპორტსმენი — საქალაქო და რესპუბლიკურ სპარტაკიადებში გამარჯვებულნი. ეს სპარტაკიადა, ისე როგორც წინანდელები, შეაჯამებს იმის თვალსაჩინო შედეგს, თუ გასულ სასწავლო წელს რა გაკეთდა მოზარდი თაობის ფიზიკური აღზრდისათვის, საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის XX ყრილობის დირექტივის შესრულებისათვის, რომელიც გვავალებს „უზრუნველყოფთ ფიზიკური კულტურისა და სპორტის შემდგომი განვითარება, განსაკუთრებით მოსწავლეთა და ახალგაზრდობას შორის“.

კომუნისტური პარტია, საბჭოთა მთავრობა, მთელი ჩვენი ხალხი არაფერს არ იშურებენ იმისათვის, რომ ახალგაზრდობა იზრდებოდეს ჯანმრთელი, მხნე, გამბედავი, სიცოცხლით სავსე, შრომისმოყვარე, შეიარაღებული ცოდნით, თავისი სამშობლოს მხურვალედ მოყვარული. ჩვენს ქვეყანაში ახალგაზრდობას აქვს ფართო შესაძლებლობა სულიერი და ფიზიკური განვითარებისათვის. მის განკარგულებაშია სკოლები და უმაღლესი სასწავლებლები, კულტურის სასახლეები და სტადიონები, ბიბლიოთეკები და კლუბები.

პარტიისა და მთავრობის დიდ ზრუნვას ჩვენი ახალგაზრდობა მუდამ უპასუხებს შესანიშნავი მიღწევებით შრომასა და სწავლაში. თვალსაჩინო წარმატებით ახარებენ საბჭოთა ადამიანებს ჩვენი სპორტსმენებიც. მარტო უკანასკნელ ორ წელიწადში მათ 486-ჯერ განაახლეს სსრ კავშირის რეკორდები და 150-ჯერ მსოფლიო რეკორდები. ჩვენი ქვეყნის ფარგლებს გარეთ შორს ცნობილია საბჭოთა სპორტის განთქმული ოსტატების — ნოჭიდაურების, ტანმოვარჯიშეების, მოციგურავეების, მოჭადრაკეებისა და ბევრი სხვების სახელები. შესანიშნავი გამარჯვება მოიპოვეს ამას წინათ საბჭოთა სპორტსმენებმა ამერიკის შეერთებული შტატების სპორტსმენებთან მძლეოსნობის მატჩში.

ჩვენში უდიდესი ყურადღება ექცევა ფიზიკულტურისა და სპორტის განვითარებას მოსწავლე ახალგაზრდობაში, რადგან ეს არის საბჭოთა სპორტის შემდგომი წარმატების საფუძველი.

ჩვენს ქალიშვილებსა და ჭაბუკებს, რომლებისთვისაც შექმნილია ნაყოფიერი სწავლისა და ჯანსაღი დასვენების ყველა პირობა, მხურვალედ უყვართ ფიზკულტურა და სპორტი. ჩვენს ქვეყანაში ბავშვთა და ჭაბუკთა მასობრივ სპორტზე შეიძლება ვიმსჯელოთ შემდეგი მონაცემების მიხედვით: სსრ კავშირის სკოლებში ითვლება 77 ათასი ფიზკულტურული კოლექტივი, რომლებიც აერთიანებენ 8 მილიონ კაცს. ვანათლების სამინისტროებისა და ნებაყოფლობით სასპორტო საზოგადოებათა 960 სპორტული სასპორტო სკოლაში ოსტატობას იუმჯობესებენ 220 ათასზე მეტი ქალიშვილი და ჭაბუკი. ახალგაზრდა სპორტსმენთა შორის არიან 51 სპორტის ოსტატი, პირველი თანრიგის თითქმის 3.800 სპორტსმენი, 36 ათასზე მეტი მეორე თანრიგოსანი და 250 ათასზე მეტი სპორტსმენი, რომლებმაც შეასრულეს მესამე თანრიგის ნორმები მოზრდილებისათვის.

სასკოლო სპარტაკიადების მნიშვნელობა განსაკუთრებით დიდია. იგი, უწინარეს ყოვლისა, ის არის, რომ ახალგაზრდათა სპარტაკიადები სინამდვილეში წარმოადგენენ ჩვენი ქვეყნის სპორტული რეზერვების გენერალურ დათვალიერებას.

ათასობით და ათასობით სპორტსმენი მოსწავლე ეჯიბრებოდა ერთმანეთს საქალაქო და რესპუბლიკურ სპარტაკიადებში ფინალურ შეხვედრაში მონაწილეობის სამატო უფლებისათვის. ეს უფლება მოიპოვეს ყველაზე ღირსეულებმა. და აი დღეს. საბჭოთა საქართველოს დედაქალაქში, რომელიც სტუმართმოყვარულად შეხვდა ახალგაზრდა ძვირფას სტუმრებს, შეიკრიბა ახალგაზრდა ფიზკულტურელთა 19 ნაკრები კოლექტივი — ყველა თხუთმეტი მომმე რესპუბლიკის, ქალაქების მოსკოვისა და ლენინგრადის მოსწავლე ახალგაზრდობის წარმომადგენლები, აგრეთვე „შრომითი რეზერვებისა“ და სსრ კავშირის გზათა სამინისტროს სკოლების მოწაფენი.

სპარტაკიადის პროგრამა შეიცავს 13 სახეობის სპორტს.

ახლა უკვე მიმდინარეობს შეჯიბრება სპორტის რამდენიმე სახეობაში, რომლებიც გათვალისწინებულია სპარტაკიადის პროგრამით. ათასობით თბილისელი გულმოდგინედ ადევნებს თვალყურს შეჯიბრებას, უხარიათ ახალგაზრდა ფიზკულტურელთა ოსტატობა. მოსწავლეთა მეხუთე სრულიად საკავშირო სპარტაკიადისაგან საბჭოთა საზოგადოებრიობა მოელის ახალ რეკორდებს, ახალ სპორტულ მიღწევებს, ახალგაზრდა და ნიჭიერი სპორტსმენების ახალ სახელებს.

ახალი გამარჯვებანი თქვენ, ჩვენო ახალგაზრდა მეგობრებო! გაახარეთ თქვენი მოყვარული და თქვენთვის მზრუნველი სამშობლო დიდი და სახელოვანი წარმატებებით!

საფრანგეთის კომუნისტური პარტიის ცენტრალურ კომიტეტს

ძვირფასო ამხანაგებო!

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტი ღრმა სამძიმარს უცხადებს საფრანგეთის კომუნისტურ პარტიას იმასთან დაკავშირებით, რომ გარდაიცვალა საფრანგეთის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის წევრი, საფრანგეთის გამოჩენილი მეცნიერი და საზოგადო მოღვაწე, მშვიდობის მსოფლიო საბჭოს თავმჯდომარე, „ხალხთა შორის მშვიდობის განმტკიცებისათვის“ საერთაშორისო ლენინური პრემიის ლაურეატი, „საფრანგეთ-სსრ კავშირის“ საზოგადოების საპატიო თავმჯდომარე პროფესორი ფრედერიკ ჟოლიო-კიური.

ფრედერიკ ჟოლიო-კიურის მთელი სიცოცხლე, მჩქეფარე და მრავალფეროვანი მოღვაწეობით აღსავსე, საფრანგეთის მშრომელთა საქმისათვის მებრძოლის—კომუნისტის, გამოჩენილი მეცნიერის მამაცობისა და დაუცხრომელი ენერგიის ბრწყინვალე მაგალითია, მეცნიერისა, რომელმაც თავისი უდიდესი ცოდნა და ნიჭი მოახმარა კაცობრიობის სამსახურს, ხალხთა მშვიდობისა და მეგობრობის საქმეს.

საბჭოთა ხალხი სამუდამოდ დაიცავს ფრედერიკ ჟოლიო-კიურის — საბჭოთა კავშირის ერთგული მეგობრის ნათელ ხსოვნას, რომელიც დაუცხრომელი ენერგიით იბრძოდა საფრანგეთისა და საბჭოთა კავშირის ხალხებს შორის მეგობრობის განმტკიცებისათვის.

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტი

მოსწავლეთა მეხუთე საკავშირო სპარტაკიადის მონაწილეთა ერთი ჯგუფი (მარცხნიდან მარჯვნივ): იმანკულ მამეტკანოვი (ყირგიზეთის სსრ), ალდონა მასკოლუნაიტე (ლიტვის სსრ), სერგი სოლნცევი (ბელორუსიის სსრ), ტომას ლეიუსი (ესტონეთის სსრ), თამარ სეროშტანი (უკრაინის სსრ), ნაიბა არიპოვა (უზბეკეთის სსრ), სვეტლანა კიტაევა (რსფსრ), ლევან მოსეშვილი (საქართველოს სსრ), ყურბან ანაევი (თურქმენეთის სსრ), მარგარიტა ბოლდესკუ (მოლდავეთის სსრ), ჰასან ისტამოვი (ტაჯიკეთის სსრ), ლილიტა გერიკა (ლატვიის სსრ), სოვეტ ისამბაევი (ყაზახეთის სსრ), ვიგენ ოგანესიანი (სომხეთის სსრ), ნიზამი ბუსეინოვი (აზერბაიჯანის სსრ).

ფოტო ვ. გინზბურგისა.

საერთაშორისო გეოფიზიკური წლის მეხუთე ასამბლეის მუშაობის შედეგები

მიმდინარე წლის 30 ივლისიდან 9 აგვისტომდე მოსკოვში მუშაობდა საერთაშორისო გეოფიზიკური წლის სპეციალური კომიტეტის მეხუთე ასამბლეა, რომლის მუშაობაში მონაწილეობა მიიღო მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყნის მრავალმა გამოჩენილმა მეცნიერმა.

პირველი პლენარული სხდომა, რომელიც 30 ივლისს მოსკოვის მ. ვ. ლომონოსოვის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის საააქტო დარბაზში შედგა, გახსნა საერთაშორისო გეოფიზიკური წლის სპეციალური კომიტეტის პრეზიდენტმა, ცნობილმა ინგლისელმა მეცნიერმა ს. ჩეპენმა. შესავალ სიტყვაში მან აღნიშნა ასამბლეაზე განსახილველი საკითხების აქტუალური მნიშვნელობა გეოფიზიკური პრობლემების შემდგომი შესწავლის საქმეში და მსოფლიოს მეცნიერთა ურთიერთ შორის თანამშრომლობის უდიდესი ეფექტურობა. ასამბლეაზე მისასალმებელი სიტყვებით გამოვიდნენ საბჭოთა ორგანოების პასუხისმგებელი მუშაკები და ღვაწლმოსილი საბჭოთა და უცხოელი მეცნიერები. ასამბლეის მუშაობაში, გარდა 450 დელეგატისა, მონაწილეობას იღებდა მრავალი სტუმარი და საბჭოთა და უცხოეთის პრესის წარმომადგენელი. საქართველოდან აღნიშნულ ასამბლეაში მონაწილეობდნენ საერთაშორისო გეოფიზიკური წლის მონაწილე საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის გეოფიზიკური ინსტიტუტის, თბილისის ჰიდრომეტეოროლოგიური სამეცნიერო-საკვლევი ინსტიტუტის, აბასთუმნის ასტროფიზიკური ობსერვატორიისა და საქართველოს ჰიდრომეტეოროლოგიური სამსახურის სამართველოს მეცნიერი მუშაკები და სპეციალისტები, მათ შორის პროფესორები: მ. ნოდია, ე. ხარაძე, ბ. ბალავაძე, საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის გეოფიზიკური ინსტიტუტის დირექტორი, მეცნიერებათა კანდიდატი ა. ბუხნიკაშვილი, ამავე ინსტიტუტის დირექტორის მოადგილე სამეცნიერო ნაწილში, მეცნიერების კანდიდატი ვ. ქებულაძე, თბილისის ჰიდრომეტეოროლოგიური სამეცნიერო-საკვლევი ინსტიტუტის დირექტორი, მეცნიერებათა კანდიდატი ვ. ლომინაძე და სხვები.

ასამბლეაზე შექმნილი იყო სპეციალური საკონსულტაციო დარგობრივი კომისიები და სიმპოზიუმები. მათს სხდომებზე მოსმენილ იქნა მოხსენებები და ლექციები მთელ რიგ საკითხებზე, რომლებიც შეეხებოდნენ საერთაშორისო გეოფიზიკური წლის 18 თვის განმავლობაში დაგროვილი მასალების დამუშავებას, მათ ანალიზს და შემდგომში მუშაობის უკეთ წარმართვას. კერძოდ, წაკითხულ იქნა ლექციები: სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტის ხ. ვირნოვისა და ა. ჩუდაკოვისა — „საბჭოთა კავშირში რაკეტებისა და დედამიწის ხელოვნური თანამგზავრების საშუალებით კოსმოსური სხივების გამოკვლევის შედეგების შესახებ“; სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტის ლ. ზენკევიჩისა — „ოკეანოგრაფიული გამოკვლევის შესახებ გემ „ვიტიაზის“ საშუალებით“ და სხვ.

ასამბლეის მონაწილეთა შორის დიდი ინტერესი გამოიწვია საერთაშორისო გეოფიზიკური წლის საბჭოთა კომიტეტის ანგარიშმა, რომელშიც აღნიშნული იყო საბჭოთა მეცნიერების მიერ გაწეული დიდი მუშაობა. საბჭოთა კავშირში საერთაშორისო გეოფიზიკური წლის პროგრამით მუშაობაში მონაწილეობას იღებს 87 სამეცნიერო დაწესებულება. სტაციონარულ დაკვირვებას აწარმოებს 547 სადგური და ობსერვატორია. უაღრესად მნიშვნელოვანი სამუშაოები შეასრულეს და ასრულებენ სპეციალური ექსპედიციები, მათ შორის განსაკუთრებული ადგილი უჭირავთ კომპლექსურ ექსპედიციებს არქტიკაში და ანტარქტიკაში. დიდ ინტერესს წარმოადგენს მეტეოროლოგიური დაკვირვება, რომელსაც 296 სადგური აწარმოებს, და მსოფლიოში ერთადერთ არამაგნიტურ გემ „ზარიაზე“ ჩატარებული სამუშაოები ოკეანეებზე მაგნიტური ველის გაზომვისა და მაგნიტური იარაღების საერთაშორისო შედარებათა საკითხებზე.

ანგარიშში აგრეთვე მოხსენიებული იყო ის დიდი სამუშაოები, რომლებიც საბჭოთა კავშირში შესრულდა იონოსფეროს, პოლარული ნათების, კოსმოსური სხივების, მეტეორების და სხვა გეოფიზიკური მოვლენების შესწავლის საქმეში.

მრავალთა შორის მნიშვნელოვან აღმოჩენას წარმოადგენს საბჭოთა მეცნიერების მიერ ნანსენის წყალქვეშა ზღურბლზე, გრენლანდიისა და შპიცბერგენის უბეთა ცენტრში, სამი კილომეტრის სიღრმის ჭრილის აღმოჩენა, რომელიც მნიშვნელოვან როლს ასრულებს ჩრდილოეთ ატლანტიკის და ცენტრალურ პოლარულ აუზთა შორის წყლის მიმოქცევაში.

ანგარიშში დიდი ადგილი ჰქონდა დათმობილი გეოფიზიკურ მოვლენათა გამოკვლევებს, რაც საბჭოთა კავშირში წარმოებს რაკეტებისა და დედამიწის ხელოვნური თანამგზავრების საშუალებით.

გამოსულ უცხოელ მეცნიერთა სიტყვებში ხაზგასმით იყო აღნიშნული საბჭოთა მეცნიერების მიღწევები და ის უდიდესი როლი, რომელიც მათ შეასრულეს საერთაშორისო გეოფიზიკური წლის პროგრამით გათვალისწინებული პრობლემების გადაწყვეტაში რაკეტებისა და დედამიწის ხელოვნური თანამგზავრების საშუალებით. დედამიწის ხელოვნური თანამგზავრებისა და რაკეტების გამოყენებამ ხელი შეუწყო კოსმოსური გამოსხივების, ატმოსფეროს ზედაფენების ფიზიკური თვისებების (ტემპერატურა, სიმკვრივე, სინოტივე, ჰაერის მასების ზოგრობის სიჩქარე და სხვ.), დედამიწის ფორმისა და აგებულების, ბიოლოგიისა და მეცნიერების სხვა დარგების უფრო ღრმად შესწავლას.

საერთაშორისო გეოფიზიკური წლის განმავლობაში დაგროვილი უაღრესად მდიდარი მასალის ანალიზი ხელს შეუწყობს მთელ რიგ გეოფიზიკურ, ასტროფიზიკურ, ჰიდრომეტეოროლოგიურ, გეოლოგიურ, გეოგრაფიულ და სხვა პრობლემათა მეცნიერულ გადაწყვეტას და აამაღლებს კაცობრიობის კულტურულ და ეკონომიურ დონეს.

ასამბლეის შემაჯამებელ პლენარულ სხდომაზე, რომელიც 9 აგვისტოს შედგა, მოსმენილ იქნა დარგობრივი კომისიების მუშაობის შედეგები და მიღებულ იქნა სათანადო რეზოლუციები.

საერთაშორისო გეოფიზიკური წლის საბჭოთა კომიტეტის წინადადება საერთაშორისო გეოფიზიკური წლის ერთი წლით გაგრძელების შესახებ მიღებულ იქნა ასამბლეის მიერ და გადაწყდა გაგრძელდეს ეს სამუშაოები 1959 წელს საერთაშორისო გეოფიზიკური თანამშრომლობის სახელწოდებით. ასამბლეის მონაწილენი გაეცნენ საერთაშორისო გეოფიზიკურ წელთან დაკავშირებულ საბჭოთა და უცხოურ სპეციალურ სამეცნიერო ფილმებს, დათვალიერეს საბჭოთა კავშირის ცენტრალური სამეცნიერო-საკვლევი ინსტიტუტები, დაწესებულებები და ზოლკოვისა და მისი მიდამოების ღირსშესანიშნავი ადგილები.

ასამბლეის დამთავრების შემდეგ, 10 აგვისტოს, უცხოელი მეცნიერები გაემგზავრნენ საბჭოთა კავშირის სხვადასხვა რესპუბლიკებსა და ოლქებში საერთაშორისო გეოფიზიკური წლის მონაწილე სამეცნიერო დაწესებულებათა გასაცნობად, მათ შორის ერთი ჯგუფი — 18 კაცი — გამოემგზავრა საქართველოში.

გ. ლეჟავა,
ასამბლეის მონაწილე — საქართველოს ჰიდრომეტეოროლოგიური სამსახურის სამმართველოს უფროსი.

ახალგაზრდა მეშახტეები შრომითს ვახვზე

ტყვარჩელი. (საკ. კორ.). ტყვარჩელ-ქვანახშირის ტრესტის მეხუთე შახტის კომკავშირელები ემზადებიან კომკავშირის 40 წლისთავის ღირსეულად შეხვედრისათვის. განსაკუთრებით გამოირჩევიან შრომაში გამყვანთა ამ კომკავშირულ-ახალგაზრდული ბრიგადის წევრები, რომელსაც რეზო ლომჯარია ხელმძღვანელობს. მეორე კვარტალის გეგმა მათ 136,5 პროცენტით შეასრულეს. აქ საუკეთესო მაჩვენებლები აქვთ კომკავშირელებს ი. გოგოხიას, ზ. ზუხბას, ი. სორდიას, რომლებიც ყოველდღიურ დავალებას 140-150 პროცენტით ასრულებენ.

გამყვანთა ბრიგადის წევრებს არ ჩამორჩებიან აგრეთვე ახალგაზრდა მნგრეველ-დამყრელები, რომლებმაც მეორე კვარტალის დავალება 110,8 პროცენტით შეასრულეს და გეგმის გადამეტებით 600 ტონა სათბობი ამოიღეს. შრომაში მაგალითს იძლევიან კომკავშირელები ა. ძანძავა, დ. რეხვიაშვილი, დ. პარამონოვა და სხვები.

შახტის კომკავშირელებმა გადაწყვიტეს იმ უბნებში, სადაც ისინი შრომობენ, წლიური გეგმა შეასრულონ კომკავშირის 40 წლისთავისათვის. მათ ვალდებულება იკისრეს აგრეთვე დაამთავრონ სასპორტო მოედნის მშენებლობა, კომკავშირულ ყულაბაში შეიტანონ 60 ათასი მანეთი.

ახალი ჯიშთსაცდელი ნაკვეთი

ოჩამჩირე. (საკ. კორ.). სსრ კავშირის სოფლის მეურნეობის მინისტრის ბრძანებით ოჩამჩირის რაიონის სოფელ არადუს ორჯონიკიძის სახელობის კოლმეურნეობის ტერიტორიაზე შეიქმნა ნაყოფკენკროვან კულტურათა სახელმწიფო ჯიშთსაცდელი ნაკვეთი.

ნაკვეთისათვის გამოყოფილია 50 ჰექტარი. აქ მოეწყობა ცდები ვაზის 70 სხვადასხვა ჯიშზე, ხეხილსა და კენკროვან მცენარეებზე მათი მოსავლიანობის გადიდების მიზნით.

ამჟამად ოჩამჩირის რაიონის ტამიშის სამანქანო-მელიორაციული სადგურის მექანიზატორები აწარმოებენ ახალი მიწების ათვისებას შემოდგომაზე ბაღებისა და ვენახების გასაშენებლად.

სურათებზე: 1. ტრესტ „ტყვარჩელქვანახშირის“ ი. ბ. ხტალინინს სახელობის შახტის პირველი მოწინავე უბნის უფროსი ვ. სამხარაძე (მარჯვნიდან მეორე) ცვლაში გასვლის წინ კომკავშირულ-ახალგაზრდული ბრიგადის წევრებს აძლევს საწარმოო დავალებას. 2. ტრესტ „ტყვარჩელქვანახშირის“ № 4 შახტის პირველი უბნის უფროსი ო. ჩოლარია ექსკავატორის მოწინავე მეანჭანეს ი. ზანგურაშვილს ესაუბრება ახალი ფენიდან ამოღებული ქვანახშირის დატვირთვის შესახებ.

ფოტო მ. ალპერტისა.

ქალაქ ქუთაისში

ავტოსკოლა ოცი წლისა

სახალხო მეურნეობაში ავტოტრანსპორტის სწრაფ განვითარებასთან დაკავშირებით ავტომძღოლთა კადრების მომზადების მიზნით მეტად ნაყოფიერ მუშაობას ეწევა ქუთაისის ავტოსკოლა, რომელსაც ოცი წლის არსებობის ისტორია აქვს.

ავტოსკოლა ამზადებს ავტომძღოლებს მრეწველობისა და სოფლის მეურნეობისათვის. დაარსებიდან 2 7,000-მდე მძღოლი მომზადდა. მარტო წელს ქუთაისის ავტოსკოლამ გამოუშვა 188 მძღოლი, მათ შორის ბევრი პირველი და მეორე კლასისა.

აქ 10,000 მშრომელმა დაისვენა

5 წელია ქუთაისში მუშაობს სახტუმრო-პანსიონატი. აქ უკვე დაისვენა ჩვენი ქვეყნის ყველა კუთხიდან წყალტუბოში სამკურნალოდ ჩამოსულმა 10,000-მდე მშრომელმა.

პანსიონატი უზრუნველყოფილია სამედიცინო კაბინეტებით და დაკომპლექტებულია მედპერსონალით. აქედან დამსვენებლები წყალტუბოში ყოველდღიურად გადაჰყავს რამდენიმე კომფორტაბელურ ავტობუსს.

პროფკავშირული საგზურებით

მინის ტარის ქარხნის პროფკავშირული კომიტეტის საგზურით წელს ქარხნის 40-მდე მუშა-მოსამსახურემ უკვე დაისვენა ჩვენი ქვეყნის საუკეთესო კურორტებზე. ქარხნის მოწინავე ადამიანებმა — ზეინკლამა ი. კულაკოვმა, ცვლის მექანიკოსმა გ. კირკიტაძემ, ოპერატორმა ნ. კალმიკმა, ცვლის ბრიგადირმა ო. გაბუნიამ, ელექტრომონტიორმა შ. ბოკორიაშვილმა და ოპერატორის თანაშემწემ ნ. ხრიპლინკომ თავიანთი შვებულება პიატიგორსკში, ეხლეტუაში, წყალტუბოსა და მახინჯაურში გაატარეს.

წლის ბოლომდე ჩვენი ქვეყნის სანატორიუმებსა და დასასვენებელ სახლებში კიდევ მრავალი ქუთაისელი მეშუშე დაისვენებს.

ქარხნის მუშა-მოსამსახურეთა ბავშვები საზაფხულო არდადეგებს სურამისა და ქობულეთის პიონერთა ბანაკებში ატარებენ.

ახალგაზრდობის ძალებით

ლენინური კომკავშირის 40 წლისთავთან დაკავშირებით საკონსერვო ქარხნის კომკავშირის კომიტეტმა გადაწყვიტა ახალგაზრდობის ძალებით მოეწყო სასპორტო მოედანი და საცურავი აუზი.

ამ გადაწყვეტილებას ახალგაზრდა მეკონსერვეები მზურვალედ გამოეხმაურნენ. ქარხნის ტერიტორიაზე კომკავშირელთა ძალებით გაკეთდა სასპორტო მოედანი. ახლა აქ თითქმის ყოველ საღამოს იმართება შეჯიბრება სპორტის სხვადასხვა სახეობაში.

ი. ბუხაიძე,
„კომუნისტის“ კორესპონდენტი.

სანიმუშოდ მოვამზადოთ სკოლები ახალი სასწავლო წლისათვის

„კომუნისტის“ რეიდი

ოცზე მეტი ზოგადსაგანმანათლებლო სკოლაა ქალაქ ფოთში. 7 ათასი მოსწავლის კომუნისტურად აღზრდის საქმეს 400 მასწავლებელი ემსახურება. გასული სასწავლო წელი ქალაქში მაღალი აკადემიური წარმატებით დამთავრდა. მოსწავლეთა საერთო წლიურმა აკადემიურმა წარმატებამ 85 პროცენტი შეადგინა, რაც 4 პროცენტით აღემატება წინა წლის ამავე პერიოდის მაჩვენებელს. საშუალო სკოლების 6 კურსდამთავრებულმა ოქროს მედალი მიიღო, 28-მ კი — ვერცხლის მედალი.

ახალი სასწავლო წლისათვის სკოლების სანიმუშოდ მომზადებისა და ერთ ცვლად სწავლაზე გადასვლისათვის სოციალისტური შეჯიბრების გაჩაღების შესახებ ქობულეთელთა მოწოდებამ ფართო გამოხმაურება ჰპოვა ფოთის განათლების მუშაკებსა და შეფ ორგანიზაციებში.

გეგმის მიხედვით აქ სკოლების კაპიტალურ რემონტზე უნდა დაიხარჯოს 283 ათასი მანეთი, ხოლო მიმდინარე რემონტზე — 95 ათასი მანეთი. კაპიტალური რემონტი უნდა გაუკეთდეს ქალაქის 2 საშუალო და 1 შვიდწლიან სკოლას, მიმდინარე რემონტი კი 9 სკოლას. ქალაქის მთელი რიგი სკოლების შენობათა და სასკოლო ინვენტარის შეკეთება დამთავრებულია. ზოგან კი ეს საქმე დასასრულს უახლოვდება.

სკოლის რემონტს, მერხებისა და დაფების წესრიგზე მოყვანას პასუხისმგებლობით მოეკიდა ქალაქის მესამე საშუალო სკოლა (დირექტორი შ. კაკულია). სკოლის დირექციამ ღია პარტიულ კრებაზე დააყენა საკითხი, „რომ სკოლის რემონტი საკუთარი ძალებით გაკეთებულიყო. სასწავლო წლის დამთავრებისთანავე აქ შეიქმნა ბრიგადები უფროსი კლასების მოსწავლეებისა და სკოლის ტექნიკური პერსონალის შემადგენლობით. ბრიგადებმა დროულად შეაკეთეს სასკოლო ინვენტარი, შელესეს, გაათეთრეს და შეღებეს საკლასო ოთახები, რითაც გასწიეს 8 ათასი მანეთის ეკონომია. ასეთივე მდგომარეობაა პირველ და მეორე საშუალო სკოლებში.

სერიოზული ყურადღება ექცევა სკოლებში პოლიტექნიკური სწავლების უკეთ დაყენებას. თითქმის ყველა საშუალო და შვიდწლიან სკოლაშია სასწავლო სახელოსნო, რომელიც შეივსო საჭირო საზეინკლო და სადურგლო ხელსაწყო-მოწყობილობით.

ახალი სასწავლო წლისათვის მზადების საქმეში სხვა წარმატებებიც არის. მაგრამ ეს იმას არ ნიშნავს, რომ ნაკლოვანებები არ იყოს. ქალაქის მეხუთე საშუალო სკოლაში მოსწავლეთა კონტინგენტი ყოველწლიურად იზრდება. სასკოლო შენობა კი პატარაა და სამ ცვლად უხდება მუშაობა. სკოლის კაპიტალური შეკეთებისათვის 130 ათასი მანეთია გამოყოფილი. ეს სამუშაოები ქალაქის კომუნალური მეურნეობის სამშენებლო-სარემონტო კანტორამ უნდა შეასრულოს. მაგრამ სამუშაოები ნელი ტემპით მიმდინარეობს.

შვილი) შემოწმების დღეს — 5 აგვისტოს მხოლოდ სამი კაცი მუშაობდა. სკოლას კი კაპიტალური რემონტი ესაჭიროება. სახურავი გამოსაცვლელია, პირველი კლასის ოთახის ჭერი ჩამონგრეულია. ზოგიერთ ოთახში ჭერი ჩამოწოლილია და ავარიულ მდგომარეობაშია. უარესი მდგომარეობაა მეექვსე საშუალო სკოლაში (დირექტორი თ. გაბუნია). კაპიტალური რემონტისათვის გამოყოფილი 120 ათასი მანეთი დღემდე აუთვისებელია. სკოლის სახურავი რეკონსტრუქციას მოითხოვს. შენობის გარეთა და შიგნითა სამუშაოები ხელუხლებელია, ხოლო შეფი ორგანიზაცია — ნავსადგური ამ მდგომარეობას გულდაგული შვიდებით შეჰყურებს.

თვალსაჩინოების ბაზის ბათუმის ფილიალი ბათუმსა და აჭარის სხვა რაიონებში ანაწილებს სკოლების კაბინეტ-ლაბორატორიებისათვის საჭირო ხელსაწყო-იარაღებს. დანარჩენი რაიონები მხოლოდ ქაღალდზე არიან მიწერილი ამ ბაზაზე. ბაზა მათ სათანადოდ ვერ ამარაგებს. ამის შედეგია ის, რომ სასწავლო ხარჯებიდან გათვალისწინებული 93,9 ათასი მანეთიდან ათვისებულია მხოლოდ 27,6 ათასი მანეთი.

ცუდად არის დაყენებული სასწავლო მასალებით, განსაკუთრებით ცემენტით, სახურავი თუნუქით და ხის მასალით მომარაგება. საქართველოს სსრ განათლების სამინისტრო ამ მიზნით ფონდს საკმარისად არ იძლევა და თუ ფონდირებული მასალები გამოიყო, მხოლოდ ქაღალდზე. განათლების სამინისტროს დამხმარე წარმომადგენლობა და მომარაგების განყოფილებამ სკოლებისათვის 255 სკამის ნაცვლად მხოლოდ 50 ცალი გამოჰყო. ქალაქის საბჭოს აღმასკომის ადგილობრივი მრეწველობის კაბინეტმა 100 ცალი მერხის დამზადება გააჭიანურა, რადგან ადგილობრივი მრეწველობის სამინისტრომ ხე-ტყით ვერ უზრუნველყო ქალაქის ადგილობრივი მრეწველობა.

ფოთის ზოგადსაგანმანათლებელ სკოლებს სრული შესაძლებლობა აქვთ ყოველმხრივ მომზადებულნი შეხვდნენ ახალ სასწავლო წელს. სკოლების პარტიული, კომკავშირული და პროფკავშირული ორგანიზაციების, აგრეთვე ქალაქის ხელმძღვანელი პარტიული ორგანოს საბჭოთა მუშაკების საპატიო ამოცანაა სწრაფად აღმოფხვრან ახალი სასწავლო წლისათვის მზადებაში არსებული ნაკლოვანებანი და უზრუნველყონ სწავლის ორგანიზებულად დაწყება, სასწავლო-აღმზრდელობითი მუშაობის ახალი მოთხოვნილების სიმაღლეზე აყვანა.

რეიდის მონაწილეები:
დ. ჯალაღანია, ქალაქის საბჭოს აღმასკომის მდივანი; **ო. გულუა,** ქალაქის კომუნალური მეურნეობის ინჟინერი; **ა. კომახიძე,** გაზეთ „მგზნებარე კოლხიდელის“ რედაქტორის მოადგილე; **გ. ნოდია,** „კომუნისტის“ საკ. კორესპონდენტი.

იდეური, მაღალმხატვრული ლიტერატურისათვის

ახლოვდება საქართველოს საბჭოთა მწერლების მორიგი, მეხუთე კრებული, რომელიც შეაჯამებს და ანალიზს გაუკეთებს უკანასკნელი წლების ლიტერატურულ მოვლენებს, დასახავს გზებს ჩვენი მხატვრული შემოქმედების შემდგომი აღმავლობისათვის.

უდავოა ის ფაქტი, რომ ქართული ლიტერატურა — ჩვენი სამშობლოს მრავალეროვანი ლიტერატურის ერთ-ერთი მოწინავე და მებრძოლი რაზმი — განუხრელად ვითარდება და წარმატებით წყვეტს იმ რთულ, პასუხსაგებ ამოცანებს, რომლებსაც სახავს კომუნისტური პარტია საბჭოთა მწერლების წინაშე.

ჩვენი მწერლობის საერთო მიღწევებში მნიშვნელოვანი დამსახურება მიუძღვით ლიტერატურულ ჟურნალებს, რომლებიც აცნობენ მკითხველს ქართველი მწერლების ახალ ნაწარმოებებს, აშუქებენ რესპუბლიკის ლიტერატურულ ცხოვრებას.

საქართველოს ალკკ ცენტრალური კომიტეტისა და მწერალთა კავშირის ორგანომ ჟურნალმა „ცისკარმა“ თავისი არსებობის მანძილზე მკითხველთა მოწონება და სიყვარული დაიმსახურა. „ცისკრის“ ფურცლებზე დაიბეჭდა პროზის, პოეზიის, პუბლიცისტიკის ჟანრის არაერთი საინტერესო ნაწარმოები. ჟურნალს გარკვეული დამსახურება მიუძღვის ახალგაზრდა ნიჭიერი შემოქმედებითი ძალების გამოვლინებისა და აღზრდის საქმეში.

ჟურნალი „ცისკარი“ 1958 წელს

ჟურნალის მუშაობის დადებით მხარეებთან ერთად უნდა აღვნიშნოთ, რომ წელს გამოსული ნომრები ძალაუნებურად ბადებენ ასეთ კითხვებს: ხომ არ შეასუსტა „ცისკრის“ რედაქციამ მომთხოვნელობა მხატვრულ ნაწარმოებთა ხარისხისადმი, ხომ არ უვლის გვერდს ჩვენი ლიტერატურული ცხოვრების საჭირბოროტო საკითხებს, ასრულებს თუ არა ჟურნალი ლიტერატურული ახალგაზრდობის ორგანიზატორის რთულ და საპატიო როლს?

სამართლიანობა მოითხოვს აღვნიშნოთ, რომ ამ წლის ნომრებშიც გამოქვეყნებულია ცალკეული ღირსშესანიშნავი ნაწარმოებები, რომელთა შორის პირველ რიგში უნდა აღინიშნოს ლ. გოთუას მოთხრობა „დაბრუნებული მამაია“, ო. ჭილაძის ლექსი „პორტი“, თ. ჭილაძის ლექსი „ჩრდილოეთის ფოთლები“, შ. ამისულაშვილისა და მ. კახიძის ლირიკა, შექსპირის „ჰენრი მეოთხის“ შესანიშნავი თარგმანი, შესრულებული ვ. ჭელიძის მიერ. მაგრამ, სამწუხაროდ, „ცისკრის“ ლიტერატურულ ღირსებას და მის მიმართულებას განსაზღვრავენ სხვა მასალები, რომლებსაც პრინციპული ხასიათი ენიჭებათ ჟურნალის მუშაობის შეფასებისას.

• • •

როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, ჟურნალი დიდ ადგილს უთმობს ახალგაზრდა მწერალთა შემოქმედებას, ცდილობს გამოავლინოს მზარდი შემოქმედებითი ძალები, რომლებსაც ახალი თემები და მოტივები მოაქვთ ჩვენს ლიტერატურაში. თავისთავად ეს კარგი საქმეა და, რა თქმა უნდა, ძიება აქ აუცილებელია. მაგრამ ახლის ძიებისაგან ძირეულად უნდა განვასხვავოთ ფორმის მაძიებლობა, ფორმალისტური ვარჯიში, რომელიც ძველთაძველი მკვდრადშობილი მოტივების გადამღერებას წარმოადგენს.

„ცისკრის“ მე-2 ნომერში გამოქვეყნებულია მ. მაჭავარიანის ლექსი „ფიქრი“, რომელიც საყურადღებოა როგორც თავისი შინაარსით, ისე ფორმით. მოვიყვანთ ამ ლექსიდან ზოგიერთ ადგილს.

„ზღვა.
ცისარტყელა.
ნაკადული.
ბალახი.
წვიმა.
ქუჩა.
ჰაერი.
გაზაფხული.
ღიმილი.
ღელვა, —
ყოველი,
ყველა,
ყველაფერი, — რაც იყო
წინათ, —
კვლავაა ყველა“.

ერთი წუთით ნუ მივაქცევთ ყურადღებას ლექსის მანერულ წყობას, ვცადოთ გავერკვეთ მის შინაარსში. აქ ერთგვარი პრეტენზიაა (სათაური „ფიქრი“ შემთხვევითი როდია!) სამყაროს თავისი ორიგინალური კუთხით განჭვრეტისა. აი როგორ ვითარდება ლექსის ლირიკული გმირის ფიქრი შემდგომ ტაეპში:

„შენ კი, —
სამეფო, ვისაც გეპყრა
უსაზღვროდ ვრცელი,
შენც, —
ოფლი ვისაც გაღვრევინა
მონის უღელმა, —
აღარ ხარ, —
რადგან
მზის ხელთაა სიკვდილის
ცელი!
აღარ ხარ, —
რადგან
სულერთია მზისთვის
სუყველა!“

მიუხედავად აზრებისა და სახეების უკიდურესი ბუნდოვანებისა, ლექსში მაინც გამოსჭვივის ნიჰილისტური განწყობილება, რომელიც ბადებს ისეთ არაბუნებრივ მეტაფორებს, როგორიც არის, მაგალითად, „მზის ხელთაა სიკვდილის ცელი“. საინტერესოა, რით მთავრდება ეს თავისებური ფილოსოფიური განსჯა? აი ფინალიც:

„ვეწევი პრიმას, —
მეყურება ჭიკჭიკი ჩიტის...
გადის დუმილი ოთახიდან
ნაბიჯით ზანტით...
შემოდის მამა,
დაჯ შემოდის,
მყარდება ბინდი...
ფიქრიც გარედან ფეხათრევით
შემოდის შიგნით
და
ჩვენ
ყველანი
დიდი ამბით მივირთმევთ
სადილს“.

ასეთი, მეტი რომ არა ვთქვათ, ულოგიკო დაბოლოება მეტად დამახასიათებელია. იგი აშკარად გვიჩვენებს ლექსის ჩანაფიქრის სიყალბეს, აზრების უშინაარსობას, იდეურ სიცარიელეს, რასაც ვერ ფარავს ვერც ბუნდოვანი სახე, ვერც წერის აგდებული მანერა. სხვათა შორის, უნდა აღვნიშნოთ ამ ლექსის თემატური და ფორმალური მსგავსება ფუტურისტული პოეზიის ზოგიერთ ნიმუშებთან. მ. მაჭავარიანმა ალბათ იცის, რომ ფუტურიზმი ჩვენში, უფრო ზუსტად რუსეთსა და შემდეგ საქართველოში, წარმოიშვა როგორც ნიჰილისტური, წმინდა ესთეტური პროტესტი ბურჟუაზიული კულტურის წინააღმდეგ, საერთოდ ადრინდელი კულტურისა და ესთეტიკის წინააღმდეგ. სწორედ ამან გამოიწვია ხელოვნებითი უარყოფის პათოსი, დაყვანილი ცინიზმამდე, რითაც გამსჭვალული იყო ფუტურისტული პოეზია. ამიტომ გაუგებარია დროგადასული მოტივების ეღერა საბჭოთა ახალგაზრდა პოეტის შემოქმედებაში. ერთ-ერთ ლექსში, რომელიც გამოქვეყნებულია „ცისკრის“ ამავე ნომერში, მ. მაჭავარიანი პათეტიკურად მიმართავს თავის თავს:

„მომელის დამყაყება...
მომელის დამყაყება!..
მომელის!!“

რაც მართალია, მართალია! — თუ მ. მაჭავარიანი არ მოუბრუნდება ჩვენს სინამდვილეს, თანამედროვეობის საკითხებს. ურომლისოდაც არ არსებობს ჭეშმარიტი ლიტერატურა, მას მართლაც მოელის დამყაყება ფორმალისტური ვარჯიშის გამოუვალ ჭაობში.

მ. მაჭავარიანის ლექსების გარშემო ასე დაწვრილებით ლაპარაკი საჭირო არ იქნებოდა, იგი გამონაკლისი რომ ყოფილიყო ჟურნალის ფურცლებზე. ასეთივე ზოგადი, ყოველგვარ კონკრეტულ შინაარსს მოკლებული ცნებები და სახეები გვხვდება „ცისკარში“ გამოქვეყნებულ სხვა მრავალ ლექსშიც. ასეთია, მაგალითად, გ. ქავთარაძის, ს. ნარიმანიძის და ზოგიერთი სხვა ავტორის ლირიკა. სამწუხაროა, რომ სწორედ ეს ნაწარმოებები ქმნიან ჟურნალის პოეზიის განყოფილების ტონსა და მიმართულებას. საკითხავია, რა მიზნებს ისახავს „ცისკრის“ რედაქცია, როცა ჟურნალის ფურცლებს ლირიკის ასეთ ნიმუშებს უთმობს? მსგავსი ლექსების ბეჭდვა ნიშნავს უარს ამბობდე ჩვენი პოეზიის იდეურ-მხატვრული დონის ამაღლებისათვის ბრძოლაზე, ხელს უწყობდე საბჭოთა ახალგაზრდობისათვის უცხო განწყობილებათა პროპაგანდას.

• • •

„ცისკარში“ გამოქვეყნებული მრავალი მოთხრობა ნათლად მოწმობს იმას, რომ ზოგიერთი ჩვენი ახალგაზრდა პროზაიკოსი ჯერ კიდევ საკმარისად ვერ იცნობს ცხოვრებას. ეს თავს იჩენს ნაწარმოებთა ხელოვნური, მოგონილი სიუჟეტებით, დაუჯერებელი, მხოლოდ ავტორის ნებით შექმნილი სიტუაციებით, იმით, რომ ავტორები ცდილობენ შემოფარგლონ თავიანთი შემოქმედება ვიწრო პირადულ განწყობილებათა ამსახველი მოტივებით, გაურბიან დიდ, ფართო მნიშვნელობის თემებს. საკითხებს, რომლებიც აფიქრებენ და აღელვებენ საბჭოთა ადამიანებს.

„ცისკრის“ პირველ ნომერში გამოქვეყნებულია რ. ინანიშვილის მოთხრობა „პროფესიული თამაში“. ამ მოთხრობის გმირი ვინმე მწერალი, რომელიც ქალაქ ... შვილების მოტყუებაში პოულობს... შთაგონების წყაროს. რაინდის ეხამს სენტენციებს მნიშვნელოვანი ადგილი აქვს დათმობილი მოთხრობაში. აი „მწერლის“ ერთ-ერთი აღსარება.

„იცით, — ეუბნება მწერალი — მე პატიოსანი კაცი ვარ. მინდა მწუხარება მივაყენო ... მეს: მე თქვენ შეგამჩნიეთ წელ... რომ... მე არ მინდა ვინმეს მწერების მიზეზი გავხდე. თქვენ საღამოს სერიოზულ მნიშვნელობას ნუ მისცემთ. ის, იცით რა, ჩემი ჩვეულებრივი, პროფესიული თამაში იყო... შეიძლება ეს საძაგლია, მაგრამ მე ხომ ვაღიარებ: ის ჩემი პროფესიული თამაში იყო. შემდგომ ასეთი ... ბისა მე ვწერ...“

საკითხავია, რა მორალი, რა მზრდელობითი მნიშვნელობა ... ამ ნაწარმოებს? ავადმყოფური გარყვნილებით გამსჭვალული გმირის გარდა არავინ მოქმედებს ამ მოთხრობაში, რომელიც ... სეა „პიკანტური“ დეტალებით.

სრულიად ამორალურია რ. ... ნიშვილის მეორე მოთხრობა „თუთაზე“, დაბეჭდილი „ცისკრის“ ამავე ნომერში. სოფელ ... ბიჭი მოსწავლე უშანგი ...

პარტიის კახეთის რაიკომის ლექტორთა ჯგუფის წევრი გ. ხორგუაშვილი სოფელ წინარეხის კოლმეურნეობის მშრომელებთან ატარებს საუბარს.

ფოტო გ. მალაციძისა.

პოლიტიკური მოხსენებები სოფლად

სტალინირი. (საკ. კორ.). დიდი მოვალეობა აკისრიათ მოსავლის აღების დღეებში პარტიულ ორგანიზაციებს. მათს სისხლხორცეულ საქმეს შეადგენს დარაზმონ სოფლის მშრომელები წლის ნაამაგარის დროულად აღებისა და დაბინავებისათვის.

სოფლად პოლიტიკური მუშაობის ერთ-ერთ მნიშვნელოვან ფორმას წარმოადგენს ხელმძღვანელი პარტიული, საბჭოთა და სამეურნეო მუშაკების პოლიტიკური მოხსენებებით გამოსვლა მშრომელთა ფართო მასების წინაშე.

ამ მხრივ კარგად მოაწყო საქმე პარტიის სტალინირის რაიკომის პოლიტიკურ მომხსენებელთა ჯგუფმა, რომლის შემადგენლობაში 22 ამხანაგია. მომხსენებელთა ჯგუფმა უკანასკნელი ოთხი თვის განმავლობაში 400-ზე მეტი პოლიტიკური მოხსენება წაიკითხა კოლმეურნეობებში, საბჭოთა მეურნეობასა და სარემონტო-ტექნიკურ სადგურებში. მოხსენებების თემატიკა მრავალფეროვანი, საინტერესო და მიმზიდველია. დიდი ყურადღება ეთმობა საგარეო პოლიტიკის საკითხებს, ჩვენი პარტიისა და საბჭოთა მთავრობის ღონისძიებებს სოფლის მეურნეობის დარგში.

საინტერესო, შინაარსიან მოხსენებებს კითხულობენ პარტიის რაიკომის მდივნები ვ. სანაკოევი, გ. მიდოდაშვილი, რაისაბჭოს აღმასკომის თავმჯდომარე გ. ჯუსოევი, სარემონტო-ტექნიკური სადგურების პირველადი პარტიული ორგანიზაციების მდივნები კ. გაბარაევი და ვ. ჩიხლაძე, რაისამომხმარებლო საზოგადოების თავმჯდომარე პ. თედეევი და სხვები. პოლიტიკური მოხსენებები მჭიდროდ უკავშირდება ჩვენი ქვეყნის საგარეო პოლიტიკის საკითხებს და ხალხთა მშვიდობისათვის ბრძოლას, კოლმეურნეობების, საბჭოთა მეურნეობისა და სარემონტო-ტექნიკური სადგურების წინაშე მდგომ ამოცანებს.

მაგრამ არის ნაკლოვანებებიც. პოლიტიკური მოხსენებების თემატიკის შერჩევისას ნაკლები ყურადღება აქვს დათმობილი კოლმეურნეობებში შრომის ორგანიზაციის საკითხებს, ანტირელიგიურ პროპაგანდას. ეს ნაკლოვანებები დაძლეულ უნდა იქნას.

მოწინავე კოლმეურნეობებს — გარდამავალი წითელი დროშები

საჩხერე. (საკ. კორ.). სოციალისტური შეჯიბრების რაიონულმა ყიურიმ ახლახან შეაჯამა რაიონის კოლმეურნეობებსა და სასოფლო საბჭოებს შორის გაშლილი სოციალისტური შეჯიბრების ნახევარი წლის შედეგები.

მინდვრის სასოფლო-სამეურნეო სამუშაოების აგროტექნიკურ ვადებში და მაღალხარისხოვნად შესრულებისათვის, ბაღებისა და ვენახების სანიმუშოდ მოვლისათვის ყიურიმ საქართველოს კომპარტიის საჩხერის რაიკომისა და რაისაბჭოს აღმასკომის გარდამავალი წითელი დროშა მიაკუთვნა სოფელ ორღულის ყდანოვის სახელობის კოლმეურნეობას (გამგეობის თავმჯდომარე ი. ჭიღლაძე).

მეცხოველეობის განვითარებაში მაღალი მაჩვენებლებისათვის რაიკომისა და რაიაღმასკომის გარდამავალი წითელი დროშა გადაეცა სოფელ სხვიტორის ა. წერეთლის სახელობის კოლმეურნეობას (გამგეობის თავმჯდომარე ი. აბრამიშვილი).

ხარისხოვანი ჩაის ფოთლის დამზადების გეგმის შესრულება 1958 წლის 15 აგვისტოსათვის

მთლიანად საქართველოს სს რესპუბლიკაში 1958 წლის 15 აგვისტოსათვის ხარისხოვანი ჩაის ფოთლის დამზადების წლიური გეგმა შესრულებულია 84 პროცენტით. ამა წლის 15 აგვისტოსათვის ხარისხოვანი ჩაის ფოთოლი დამზადებულია 21.339 ტონით მეტი, ვიდრე გასული წლის ამავე თარიღისათვის. დამზადებული ჩაის ფოთლის საერთო რაოდენობიდან პირველი ხარისხი შეადგენდა 75,7 პროცენტს 1957 წლის 69,3 პროცენტთან შედარებით.

აფხაზეთის ასსრ, აჭარის ასსრ და რესპუბლიკის ცალკეულ რაიონებში გეგმის შესრულება პროცენტობით შეადგენს:

აფხაზეთის ასსრ	— 89,1
აჭარის ასსრ	— 81,7
მახარაძის რაიონი	— 83,2
ჩოხატაურის „	— 79,1
ლანჩხუთის „	— 76,4
სამტრედიის „	— 81,1
წულუკიძის „	— 81,5
ქუთაისის „	— 95,6
წყალტუბოს „	— 101,3
ტყიბულის „	— 110,4
ცხაკაიას „	— 74,3
აბაშის „	— 75,0
გეგეჭკორის „	— 78,3
ზუგდიდის „	— 85,1
წალენჯიხის „	— 86,0
ჩხოროწყუს „	— 83,4
ხობის „	— 85,1
თერჯოლის „	— 111,8
ზესტაფონის „	— 63,3
ბიათურის „	— 142,5
ვანის „	— 105,0

საქართველოს სსრ სტატისტიკური სამმართველო.

საკოლმეურნეო კულტურის სახლის მშენებლობა

გორი. (საკ. კორ.). ტყვიავის ლადო კეცხოველის სახელობის კოლმეურნეობამ კულტურის სახლისათვის ააგო ახალი შენობა.

კულტურის სახლის მაყურებელთა დარბაზი 500 კაცს დაატევს, ექნება ფოიე, ოთახები საწრეო მუშაობისათვის.

ჩეხოსლოვაკიელ და ქართველ მეცნიერთა მეგობრობა

საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის მექანიზაციისა და ელექტროფიკაციის სამეცნიერო-საკვლევმა ინსტიტუტმა ჩეხოსლოვაკიის სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიისაგან მიიღო ჩეხურ ენაზე გამოქვეყნებული სამეცნიერო შრომები და მეგობრული წერილი. წერილში ჩეხოსლოვაკიელმა მეცნიერებმა გამოთქვეს ქართველ მეცნიერებთან კულტურული ურთიერთობის დამყარებისა და ინსტიტუტების შრომების გაცვლის მეშვეობით მეცნიერების მიღწევათა ურთიერთგაზიარების სურვილი. ამ წერილის პასუხად ინსტიტუტმა ჩეხოსლოვაკიელ კოლეგებს გაუგზავნა შრომათა კრებულის სამი ტომი და ბიულეტენი № 1, რომელთა მიღებისთანავე ჩეხოსლოვაკიის სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიისაგან მიღებულ იქნა შემდეგი წერილი:

„პატივცემულო ამხანაგებო, მიიღეთ ჩვენი გულწრფელი მადლობა თქვენი ინსტიტუტის შრომების გამოგზავნისათვის. ჩვენ დიდად გვახარებს მეცნიერული შრომების ურთიერთგაცვლის შესაძლებლობა და თანამშრომლობა საბის სოფლო-სამეურნეო მექანიზაციისა და ელექტროფიკაციის დარგში. გთხოვთ კვლავაც გვიგზავნოთ თქვენი ინსტიტუტის შრომები. ჩვენც სისტემატურად გამოვგზავნით ჟურნალ „მექანიზაციასა და ელექტროფიკაციას“ და „ჩეხოსლოვაკიის სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის შრომათა კრებულს“.

ორი ქვეყნის მეცნიერთა შორის დამყარებული ურთიერთობა დიდი წვლილია ხალხთა შემოქმედებითი მეგობრობის განმტკიცების საქმეში.

გ. მინდაძე.

სადაც დიდი მწერალი ცხოვრობდა

მთის ფერდობზე, აშენებულ ბაღნარში დგას პატარა მოხდენილი სახლი, საიდანაც ხელისგულივით მოჩანს შავი ზღვისა და ქალაქ-კურორტის — იალტის შესანიშნავი პანორამა.

ბევრის მომსწრეა ეს პატარა, მაღალი გემოვნებით აგებული აგარაკი. აქ სიცოცხლის უკანასკნელი ოთხნახევარი წელი გაატარა რუსულ ლიტერატურის სამყაროს ანტონ ჩეხოვმა.

„— ვინ არ ყოფილა ჩვენთან! — წერს თავის მოგონებაში მწერლის დ. სახლ-მუზეუმის დამაარსებელი და სიკვდილამდე მისი უცვლელი დირექტორი მ. პ. ჩეხოვა, — მწერალს გარს ეხვევნენ მეცნიერები, ხელოვნების, ლიტერატურის მუშაკები, საზოგადო მოღვაწეები. განსაკუთრებით მრავალი სტუმარი მოდიოდა გაზაფხულის დასაწყისიდან. ზმირად გვესტუმრებოდნენ ხოლმე ა. მ. გორკი, ა. ი. კუპრინი, ი. ა. ბუნინი, დ. ნ. მამინ-სიბირიაკი, ს. ი. ელეპატიევსკი და სხვები. ჩვენთან სტუმრად ყოფილან მწერალი ვ. გ. კოროლენკო, გამოჩენილი მხატვარი ი. ი. ლევიტანი, ცნობილი მომღერალი თ. პ. შალიაპინი.

რკინის პატარა ჭიშკრით მნახველი შედის სახლ-მუზეუმის ეზოში, სადაც თვალს იტაცებს მარადმწვანე და ფოთლოვან მცენარეთა ტყვრი, ყვავილების გაზონები. ეს ბაღი მწერალს თავისი ხელით გაუშენებია. მასში ორასამდე სხვადასხვა სახელწოდების მცენარეა.

სახლის მთელი მეორე სართული მუზეუმს უჭირავს. სასადილო ოთახში მრავალი ძვირფასი ავეჯია. მნახველის ყურადღებას იპყრობს პიანინო, რომელიც ჩეხოვს 1899 წელს შეუძენია. ამ ინსტრუმენტთან არაერთხელ უმღერია შალიაპინს.

სასადილო ოთახის ერთ კედელზე მიმაგრებულია არშიაშემოვლებული პალმის შტო, რომელზეც წარწერაა: „ანტონ პავლეს-ძე ჩეხოვს, რუსული სინამდვილის ღრმად გადმომცემელს, 23 აპრილი 1900 წ.“ ეს საჩუქარი ჩეხოვისათვის მიურთმევიათ იალტაში მისი პიესების „ჩაიკასა“ და „ძია ვანიას“ დადგმის დროს.

განსაკუთრებით საინტერესოა ჩეხოვის სამუშაო კაბინეტი. ყველაფერი ისეა, როგორც ა. ჩეხოვის სიცოცხლეში იყო. მნახველს შთაბეჭდილება ექმნება, თითქოს მწერალს დროებით დაუტოვებია კაბინეტი, სადაც არის დაბრუნდება და კვლავ განაგრძობს მუშაობას. აქ მწერლის პირად ნივთებს გარდა მრავალი შესანიშნავი ნახატი, სტატუეტები და ფოტოსურათებია. დაცულია მწერლის ავტოგრაფები და მისი საყვარელი წიგნები.

ყოველწლიურად იზრდება სახლ-მუზეუმის მნახველთა რიცხვი, ინტერესი მწერლის ცხოვრებისა და შემოქმედების შესწავლისადმი. ამაზე ნათლად მეტყველებენ ციფრები. 1923 წელს (დაარსების მეორე წელი) სახლ-მუზეუმი დაათვალიერა 2.486 კაცმა, 1930 წელს — 9.015, დიდი სამამული ომის წინ მნახველთა რიცხვი 40 ათასამდე ავიდა, ხოლო უკანასკნელ წლებში ამ ციფრმა 80 ათასს გადააჭარბა. მარტო მიმდინარე წლის იანვრის სახლ-მუზეუმი 17. 500 კაცმა ინახულა.

სახლ-მუზეუმს არა მარტო საბჭოთა ადამიანები ათვალიერებენ, არამედ აქ ნახავთ დიდი ჩინეთის, ჩეხოსლოვაკიის, პოლონეთის, ბულგარეთის, რუმინეთის, უნგრეთის, ინდოეთის, ბირმის, საფრანგეთის, ინგლისის, იტალიის, ამერიკისა და სხვა ქვეყნების წარმომადგენლებს.

იალტაში, ჩეხოვის სახლ-მუზეუმში კვლავ მოვა ათეულ და ასეულ ათასობით ადამიანი, რომ პატივი სცენ დიდ რუს მწერალს.

ვ. ცირეკიძე,
„კომუნისტის“ სპეც. კორესპონდენტი.



სურათზე: ა. ჩეხოვის სახლ-მუზეუმი იალტაში.

საინჟინრო-ტექნიკური ინფორმაცია

ერთიანი საქალაქთაშორისო საგელეფონო სისტემა



ცნობილია, რომ ყოველი საქალაქო სატელეფონო ქსელის აბონენტი სხვა აბონენტს ადვილად ურეკავს ტელეფონით. ამისათვის საკმარისია ყურმილის აპარატიდან აღება და „ნებართვის“ სიგნალის მიღების შემდეგ ნომრის აკრეფა. ნაგრამ ერთი ქალაქის აბონენტს არ შეუძლია ასე იოლად დარეკოს სხვა ქალაქში. საჭირო ხდება საქალაქთაშორისო სატელეფონო სადგურის გამოძახება, შეკვეთის მიცემა და შემდეგ ლოდინი. ეს პროცედურა, რასაკვირველია, ართულებს ქალაქებს შორის სატელეფონო კავშირს.

ხომ არ შეიძლება საქალაქთაშორისო სადგურის დაუხმარებლად აბონენტმა სხვა ქალაქში პირდაპირ დარეკოს? სწორედ ამ ტექნიკურმა ამოცანამ მიიქცია სპეციალისტების განსაკუთრებული ყურადღება.

სხვა ქალაქში ტელეფონით დარეკვა საქალაქთაშორისო სადგურის დაუხმარებლად ასე შეიძლება წარმოვიდგინოთ: აბონენტი, როცა ყურმილში თბილისის ატს-ის სიგნალს გაიგონებს, იმ ქალაქის პირობით ნიშანს აკრეფს, სადაც დარეკვა სურს. შემდეგ აბონენტი უკვე გამოსაძახებელი ქალაქის ატს-ის სიგნალს მიიღებს და უშუალოდ იმ აბონენტის ნომერს აკრეფს, რომელთანაც ლაპარაკი სურს.

მაგრამ ქალაქებს შორის კავშირის დამყარებას ერთი სირთულე აქვს. მაგალითად, თუ თბილისში ერთდროულად 50 მოქალაქემ აკრიფა მოსკოვის პირობითი ნიშანი, რათა მოსკოვის ატს-ის სიგნალი მიიღოს, საჭირო იქნება 50 შემაერთებელი ხაზი მოსკოვსა და თბილისს შორის.

უამრავი შემაერთებელი ხაზების გაყვანა დასახული ამოცანის განხორციელების ერთ-ერთი მთავარი შემაფერხებელი მიზეზია. მომავალში შემაერთებელ ხაზებად გამოყენებული იქნება რადიორელეური ხაზები, რომელთა გაყვანა ფართოდ გაჩაღდა უკანასკნელ წლებში და რომელთა მშენებლობა გათვალისწინებულია ამიერკავკასიაშიც. რადიორელეური ხაზების ხშირი ქსელი საიმედოდ დააკავშირებს ერთმანეთთან დიდ ქალაქებს და ერთიანი საკავშირო სატელეფონო სისტემის შექმნის მნიშვნელოვანი წინაპირობა გახდება. ამავე მიზანს ემსახურება ის დიდი სამეცნიერო მუშაობა, რასაც საბჭოთა მეცნიერები და ინჟინრები ეწევიან ახალი სატელეფონო აპარატურის შესაქმნელად. აპარატურის დანიშნულებაა ხაზებში სიტყვების ნაცვლად დენის იმპულსებისაგან შედგენილი კოდის გადაცემა. უკვე გამოცდის პერიოდშია ასეთი აპარატურა. აბონენტი ტელეფონის ყურმილში ლაპარაკობს, აპარატურა ბგერებს სიგნალებად გარდაქმნის და მათ საქალაქთაშორისო ხაზებში გზავნის. მიღების პუნქტში სიგნალები ისევ ბგერებად გარდაიქმნება.

სიტყვების ნაცვლად ხაზში დენის იმპულსებისაგან შედგენილი კოდის გადაცემის დროს ერთ ხაზში გაცილებით მეტი სატელეფონო ლაპარაკის განხორციელება შეიძლება. ეს ქალაქებს შორის შემაერთებელი ხაზების რიცხვს მნიშვნელოვნად გაზრდის, რაც, როგორც აღვნიშნეთ, ერთიანი სატელეფონო სისტემის შექმნის აუცილებელი პირობაა.

ამ მეტად საინტერესო სისტემის „პირველი მერცხალია“ ქალაქებს შორის ამჟამად განხორციელებული ნახევრადავტომატური სატელეფონო კავშირი. ლენინგრადის საქალაქთაშორისო სატელეფონო სადგურიდან პირდაპირ კრეფენ მოსკოვის ნებისმიერი აბონენტის ნომერს და პირიქით. თბილისის საქალაქთაშორისო სატელეფონო სადგურში დადგმულ აპარატზე შეიძლება ავკრიფოთ ბორჯომის ატს-ის ყველა ნომერი. ორჯონიკიძისა და გორის საქალაქთაშორისო სადგურებიდან პირდაპირ რეკავენ თბილისის აბონენტებთან.

ნახევრადავტომატური სატელეფონო კავშირის შემდგომ სრულყოფაში საბჭოთა ინჟინრებთან ერთად მონაწილეობას იღებენ ჩეხოსლოვაკიის სპეციალისტები. ამას წინათ საბჭოთა და ჩეხმა ინჟინრებმა ასეთი კავშირი მოსკოვსა და პრაღას შორის განახორციელეს.

გაივლის წლები და ალბათ თბილისის ავტომატური ტელეფონის სადგური ჩვენი ქვეყნის ერთიან სატელეფონო სისტემაში გაერთიანდება. მაშინ თბილისის აბონენტები პირდაპირ აკრიფენ თავიანთ ტელეფონებზე სხვა ქალაქების აბონენტების ნომრებს. აღარავის დასჭირდება საქალაქთაშორისო სატელეფონო სადგურის გამოძახების „ტრადიციული“ ლოდინი.

ა. კარბელაშვილი,
თბილისის ატს-ის ინჟინერი.

ახალი სასოფლო ბიბლიოთეკა

ზესტაფონი. (საკ. კორ.). რაიონის მთის სოფელ ბოსლევში გაიხსნა სასოფლო ბიბლიოთეკა. კოლმეურნეობამ ბიბლიოთეკას ფართო, ნათელი ბინა გამოუყო, შეძენილ იქნა ათასზე მეტი ცალი წიგნი.

რაიონში ახლა 14 სასოფლო, 17 საკლუბო ბიბლიოთეკა და სამი საგაკვთილო. ბევრი მათგანი უკანასკნელ წლებში გაიხსნა.

თავის მეგობრებს, თუ როგორ უთვალთვალებდა იგი შებინდებისას თუთიდან მასწავლებელ ქალს. ეს „მოსწავლე“ კარგი ფრანგი ბულვარული რომანისტივით დაწვრილებით აღწერს ქალის საღამოს ტუალეტს, ხოლო მის ირგვლივ შეკრებილი ასეთივე „მოსწავლეები“ აღტაცებული შეძახილებით ამხნევებენ „გმირს“. ბოლოს აღმოჩნდება, რომ თუთის ხეზე უშანგი მარტო არ ყოფილა. ვიღაცას კიდევ დაეკავებინა ეს „სამეთვალყურეო პოსტი“. მათ შორის იმართება გააფთრებული ბრძოლა, რის შედეგად ორივენი მიწაზე ბრაგვანს მოადენენ. ამით მთავრდება მოთხრობა.

ასეთი „მარგალიტებით“ თუ ფიქრობს ჟურნალის რედაქცია ახალგაზრდობის აღზრდას, მისი გემოვნებისა და ესთეტიკური იდეალების ფორმირებას, უნდა ვთქვათ, რომ იგი ჯერ კიდევ მეტად შორს არის ამ ამოცანის სწორი გადაწყვეტიდან.

„ცისკრის“ მე-2 ნომერში გამოქვეყნებულია ცნობილი მწერლის ო. ჩხეიძის ეტიუდი „მიწა“. ეს მისტიციზმითა და დეკადენტური განწყობილებით გამსჭვალული ნაწარმოები პირდაპირ შემზარავ შთაბეჭდილებას ახდენს მკითხველზე. ხუთ გვერდზე აღწერილია შემაძრწუნებელი ამბავი, თუ როგორ ვერ ეტევა კუბო საფლავში, სამარეს აფართოებენ, კუბო კვლავ არ ჩადის და ასე დაუსრულებლად. აი რა სტილით არის დაწერილი მთელი ეტიუდი:

„ჰო, ჩაუშვეს, მაგრამ ვერ ჩაუშვეს, თითქო პირი შეიკრა ნიწამამ, კუბოც ზედ დააჯდა და მოიკალათაო. ისევ ასწიეს კუბო და ჩაჰხედეს სამარესა, არა, პირი არ შეეკრა სამარესა, ან რა შეუკრავდა პირსა, ვიდრე არ მიუბოძებდნენ ცხედარსა... ჰო, სამარე ისევ გადახსნილიყო, გადახსნილიყო და კუბოც დაუშვეს ისევ ციმციმა, ციმციმ დაუშვეს, ოღონდ რაც შეიძლება ზომიერად, თითქოს შეუმჩნევლად, ჯერ ბოლო დაუხარეს, ბოლო ჩაუყვეს სამარეში, მერე თავი დააქანეს, გვერდებიც მიმოარხიეს. მაგრამ არ იქნა, მთლიანად ვერ ჩაიტანეს ძირამდისა, ბოლოც ისევ ამოვარდა, კუბო ისევ გადაიფოფრა სამარეზე, ისევ გაჯიქდა...“ და ა. შ. მსგავს შემთხვევაში ამბობენ, კომენტარები ზედმეტიაო. მაგრამ ასეთ ავადმყოფური ფანტაზიის ნაყოფს როცა ბეჭდავს ახალგაზრდული ლიტერატურული ჟურნალი, ვფიქრობთ, კომენტარები ზედმეტი კი არა, აუცილებელია. საინტერესოა, რა შთაბეჭდილებას ახდენს ეს „ეტიუდი“ პასუხისმგებელ კომკავშირელ მუშაკებზე? ხომ არ ფიქრობენ ისინი, რომ მხატვრული ლიტერატურის მსგავსი ნიმუშები დაეხმარება მათ ახალგაზრდობის კომუნისტური სულისკვეთებით აღზრდაში!

სენტიმენტალური ოჯახური დრამები დაუდვეს საფუძვლად თავის მოთხრობებს ა. დავითაშვილმა („სინათლე“, № 1), რ. ბეჟანიშვილმა („მზე შინა“, № 4). ეს ნაწარმოებები მოკლებულია დამკვიდრების პათოსს, ოპტიმისტურ ყღერადობას.

ცალკე მოხსენიების ღირსია ს. წვერავას მოთხრობა „გაწყვეტილი სიმი“, გამოქვეყნებული „ცისკრის“ მე-6 ნომერში. ეს მოთხრობა იმის მკაფიო დადასტურებაა, რომ ჟურნალის რედაქციამ შეასუსტა მომთხოვნელობა მხატვრული ნაწარმოების ხარისხისადმი, ნაკლებად მუშაობს ავტორებთან. მოთხრობა სავსეა სტილისტურად და ენობრივად გაუმართავი გამოთქმებით, რომელთა ციტირება შორს წაგვიყვანდა.

ქართულ პროზას ამ უკანასკნელ ხანს მნიშვნელოვანი წარმატებები აქვს. ლიტერატურული ჟურნალის ვალია გააცნოს მკითხველი ქართული პროზის საუკეთესო ნიმუშებს, ახალგაზრდა მწერლების ისეთ ნაწარმოებებს, რომლებსაც გარკვეული იდეურ-მხატვრული ღირებულება მოეპოვებათ.

* * *

მებრძოლი პუბლიცისტიკისა და კრიტიკის გარეშე წარმოუდგენელია ლიტერატურული ჟურნალის არსებობა. ეს განყოფილება განსაზღვრავს ჟურნალის ძირითად ხაზს, მის მიმართულებას, იდეურ-ესთეტიკურ იდეალებს.

„ცისკარმა“ რამდენიმე საყურადღებო სტატია და გამოკვლევა გამოაქვეყნა ამ განყოფილებაში.

მრავალ საინტერესო და პრაქტიკულად მისაღებ დებულებას შეიცავს ვ. ჭელიძის წერილი „საშვილიშვილო საგანძური“ („ცისკარი“ № 3), რომელიც მიძღვნილია ქართული ენის სიწმინდის დაცვისა და განვითარების აქტუალური საკითხებისადმი. ანალიზის შემცველი, შინაარსიანი წერილებია გ. გვერდწითელის „კოლხეთის ცისკრის“ გმირები“ („ცისკარი“ № 2) და გ. მარგველაშვილის „სომონ ჩიქოვანი“ („ცისკარი“ № 4). მაგრამ ძირითადად „ცისკრის“ პუბლიცისტიკა და კრიტიკა მიმართულია წარსულისკენ. ჟურნალი გვერდს უვლის თანამედროვე ლიტერატურული ცხოვრების აქტუალურ საკითხებს. დამახასიათებელია ამ მხრივ „ცისკარში“ გამოქვეყნებული კრიტიკულ-პუბლიცისტური წერილების უბრალო ჩამოთვლაც: ს. ყაუხჩიშვილი — „მეშვიდე საუკუნის ნოველისტი იოანე მოსხი“, ო. გიგინეიშვილი — „საქართველოს ისტორიის საკითხები თანამედროვე თურქულ ისტორიოგრაფიაში“, ნ. ყიასაშვილი — „შექსპირის ავტორობის შესახებ“, ა. გამყრელიძე — „კამათი ბალავარიანის გარშემო საზღვარგარეთ“, ს. ენუქაშვილი — „ე. ჰონიგმანზე ერთი წერილის გამო“ (კამათი კ. კეკელიძესთან არეოპაგიტიკის საკითხებზე), მ. კეკელიძე — „ერთი დეტალი ნ. ბარათაშვილის ბიოგრაფიიდან“, ჯ. ნადირაძე — „მატერიალური კულტურის ძეგლები ყვირილის ხეობაში“, ნ. შოშიაშვილი — „ურბნისი — საქართველოს უძველესი ქალაქი“ და ა. შ. თავისთავად ეს წერილები, ცხადია, საინტერესო წერილებია, მაგრამ უმჯობესი იქნებოდა ჟურნალის რედაქციას მთავარი ყურადღება მიექცია თანამედროვეობის საკითხებისათვის.

ჩვენს ლიტერატურას, ყველა მის ჟანრს მნიშვნელოვან მიღწევებთან ერთად სერიოზული ნაკლოვანებებიც აქვს, რომლებსაც ღრმა, პროფესიული ანალიზის შემცველი კრიტიკა ესაჭიროება. აი ასეთი წერილები არ ქვეყნდება, სამწუხაროდ, „ცისკრის“ ფურცლებზე. კარგია, რომ ჟურნალი მსჯელობს იოანე მოსხის შემოქმედების შესახებ, აშუქებს ბალავარიანისა და არეოპაგიტიკის პრობლემებს, მაგრამ სად არის თანამედროვე მწერლების ნაწარმოებთა ავკარგიანობაზე სჯა-ბაასი? ჩვენში ბევრი წიგნი გამოდის თითქმის ყოველდღიურად, ლიტერატურული ცხოვრება სულ უფრო და უფრო ინტენსიური ხდება. მაგრამ ეს არ იგრძნობა „ცისკრის“ ფურცლებზე.

უნდა შეგეჩეროთ „ცისკრის“ რედაქციის ყურადღება ჟურნალის ერთ არაჯანსაღ ტენდენციაზე, რომელიც თავს იჩენს იმით, რომ სერიოზული, პრინციპული კრიტიკა შეცვლილია მყვირალა, გაღიზიანებული ტონით დაწერილი წერილებით, რაც ზიანის მეტს არაფერს მოუტანს ჩვენი ლიტერატურის განვითარების საქმეს. აი, მაგალითად, „ცისკრის“ მე-5 ნომერში გამოქვეყნებულია რ. თვარაძის წერილი „კრიტიკა და მკითხველის მისტიფიკაცია“, რომელიც ეხება კრიტიკოს შ. რადიანის მონოგრაფიებს კ. გამსახურდიასა და მ. ჯავახიშვილის შესახებ. ეს წერილი, რომელიც თავიდან ბოლომდე დაწერილია აგდებული, ახალგაზრდა კრიტიკოსისათვის შეუფერებელი ტონით, წარმოადგენს ხელაღებითი კრიტიკის მკაფიო მაგალითს. რა თქმა უნდა, შ. რადიანის წიგნებში არის სერიოზული ნაკლოვანებანი, მაგრამ რ. თვარაძის წერილში საქმიანი ანალიზის ნაცვლად ვხვდებით შეურაცხმყოფელ ეპითეტებს, ღამცინავ შეძახილებს, მწერლის პიროვნებისა და მისი ნაშრომის აბუჩად აგდებას. შემთხვევითია თუ არა ის, რომ ახალგაზრდა კრიტიკოსის (რომელსაც, უნდა აღინიშნოს, ჯერ არაფრით არ გაუმიდერებია ჩვენი კრიტიკული აზროვნება) წერილი ჟურნალ „ცისკრის“ ხელმძღვანელობამ ასეთი სახით გამოაქვეყნა? ჩვენი აზრით, ეს შემთხვევითი არ არის. საერთოდ უნდა ითქვას, რომ ჟურნალმა „ცისკარმა“ პირველი ნომრიდანვე აიღო არასწორი ტონი ჩვენი ლიტერატურული კრიტიკის მიმართ და აქვეყნებს ამ საკითხზე წერილებს იუმორისტული ჟურნალის ფელეტონების ყაიდაზე.

დაახლოებით ასეთივე ტონით არის დაწერილი რ. ჯაფარიძის წერილი „სასაცილო და სატირელი“ („ცისკარი“ № 2).

მებრძოლ, პრინციპულ კრიტიკას საერთო არა აქვს რა პიროდულ გამოხდომებთან, გამკილავ, შეურაცხმყოფელ ტონთან, რომელიც აუფასურებს კრიტიკას, ქმნის არამეგობრულ, აჯანსაღ დამოკიდებულებას შემოქმედებითს ატმოსფეროში.

არის მეორე უკიდურესობაც. ზოგიერთ წერილებში ვხვდებით ყოველგვარ ზომას მოკლებულ შექებას, რომელსაც არაფერი აქვს საერთო მწერლის შემოქმედების ობიექტურ შეფასებასთან. გ. ხუხაშვილის წერილში „ოსტატის საიდუმლო“ („ცისკარი“ № 7), რომელიც ეხება გ. ნატროშვილის მოთხრობებს, ვხვდებით ასეთ აღგილებს: „როგორც მწერალს, მას (გ. ნატროშვილს. — **რედ.**) უყვარს დიდოსტატის უბრალოება, აღბეჭდილი ოპიზარების ჩუქურთმებსა და ორნამენტებში, სვეტიცხოვლის არქიტექტურაში, ვაჟა-ფშაველას პოემებში ან ნიკო ფიროსმანის ტილოებზე“. ვფიქრობთ, ასეთი დიდრებია ჩვენი კრიტიკული აზროვნება) წერილი ჟურნალ „ცისკრის“ ხელმძღვანელობამ ასეთი სახით გამოაქვეყნა? ჩვენი აზრით, ეს შემთხვევითი არ არის. საერთოდ უნდა ითქვას, რომ ჟურნალმა „ცისკარმა“ პირველი ნომრიდანვე აიღო არასწორი ტონი ჩვენი ლიტერატურული კრიტიკის მიმართ და აქვეყნებს ამ საკითხზე წერილებს იუმორისტული ჟურნალის ფელეტონების ყაიდაზე.

დაახლოებით ასეთივე ტონით არის დაწერილი რ. ჯაფარიძის წერილი „სასაცილო და სატირელი“ („ცისკარი“ № 2).

მებრძოლ, პრინციპულ კრიტიკას საერთო არა აქვს რა პიროდულ გამოხდომებთან, გამკილავ, შეურაცხმყოფელ ტონთან, რომელიც აუფასურებს კრიტიკას, ქმნის არამეგობრულ, აჯანსაღ დამოკიდებულებას შემოქმედებითს ატმოსფეროში.

არის მეორე უკიდურესობაც. ზოგიერთ წერილებში ვხვდებით ყოველგვარ ზომას მოკლებულ შექებას, რომელსაც არაფერი აქვს საერთო მწერლის შემოქმედების ობიექტურ შეფასებასთან. გ. ხუხაშვილის წერილში „ოსტატის საიდუმლო“ („ცისკარი“ № 7), რომელიც ეხება გ. ნატროშვილის მოთხრობებს, ვხვდებით ასეთ აღგილებს: „როგორც მწერალს, მას (გ. ნატროშვილს. — **რედ.**) უყვარს დიდოსტატის უბრალოება, აღბეჭდილი ოპიზარების ჩუქურთმებსა და ორნამენტებში, სვეტიცხოვლის არქიტექტურაში, ვაჟა-ფშაველას პოემებში ან ნიკო ფიროსმანის ტილოებზე“. ვფიქრობთ, ასეთი დიდოსტატის უბრალოება, აღბეჭდილი ოპიზარების ჩუქურთმებსა და ორნამენტებში, სვეტიცხოვლის არქიტექტურაში, ვაჟა-ფშაველას პოემებში ან ნიკო ფიროსმანის ტილოებზე“. ვფიქრობთ, ასეთი დიდოსტატის

ლი „ცისკრის“ მე-6 ნომერში. ეს მოთხრობა იმის მკაფიო დადასტურებაა, რომ ჟურნალის რედაქციამ შეასუსტა მომთხოვნელობა მხატვრული ნაწარმოების ხარისხისადმი, ნაკლებად მუშაობს ავტორებთან. მოთხრობა სავსეა სტილისტურად და ენობრივად გაუმართავი გამოთქმებით, რომელთა ციტირება შორს წაგვიყვანდა.

ქართულ პროზას ამ უკანასკნელ ხანს მნიშვნელოვანი წარმატებები აქვს. ლიტერატურული ჟურნალის ვალია გააცნოს მკითხველი ქართული პროზის საუკეთესო ნიმუშებს, ახალგაზრდა მწერლების ისეთ ნაწარმოებებს, რომლებსაც გარკვეული იდეურ-მხატვრული ღირებულება მოეპოვებათ.

* * *

მებრძოლი პუბლიცისტიკისა და კრიტიკის გარეშე წარმოუდგენელია ლიტერატურული ჟურნალის არსებობა. ეს განყოფილება განსაზღვრავს ჟურნალის ძირითად ხაზს, მის მიმართულებას, იდეურ-ესთეტიკურ იდეალებს.

„ცისკარმა“ რამდენიმე საყურადღებო სტატია და გამოკვლევა გამოაქვეყნა ამ განყოფილებაში.

მრავალ საინტერესო და პრაქტიკულად მისაღებ დებულებას შეიცავს ვ. ჭელიძის წერილი „საშვილიშვილო საგანძური“ („ცისკარი“ № 3), რომელიც მიძღვნილია ქართული ენის სიწმინდის დაცვისა და განვითარების აქტუალური საკითხებისადმი. ანალიზის შემცველი, შინაარსიანი წერილებია გ. გვერდწითელის „კოლხეთის ცისკრის“ გმირები“ („ცისკარი“ № 2) და გ. მარგველაშვილის „სომონ ჩიქოვანი“ („ცისკარი“ № 4). მაგრამ ძირითადად „ცისკრის“ პუბლიცისტიკა და კრიტიკა მიმართულია წარსულისკენ. ჟურნალი გვერდს უვლის თანამედროვე ლიტერატურული ცხოვრების აქტუალურ საკითხებს. დამახასიათებელია ამ მხრივ „ცისკარში“ გამოქვეყნებული კრიტიკულ-პუბლიცისტური წერილების უბრალო ჩამოთვლაც: ს. ყაუხჩიშვილი — „მეშვიდე საუკუნის ნოველისტი იოანე მოსხი“, ო. გიგინეიშვილი — „საქართველოს ისტორიის საკითხები თანამედროვე თურქულ ისტორიოგრაფიაში“, ნ. ყიასაშვილი — „შექსპირის ავტორობ

გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალური ასამბლეის საგანგებო სპეციალური სესია

ნიუ-იორკი, 15 აგვისტო. (საკდესი). გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალური ასამბლეის საგანგებო სპეციალური სესიის დღეანდელ დილის სხდომაზე პირველი გამოვიდა თურქეთის საგარეო საქმეთა მინისტრი ზორლუ. იგი აღტაცებდა, თითქოს თურქეთი წინააღმდეგია „მომძე“ არაბთა ქვეყნების საშინაო საქმეებში ყოველგვარი ჩარევისა. ამავე დროს იგი მიესალმა ამერიკის ჯარების გადასხმას ლიბანში და ინგლისის ჯარების გადასხმას იორდანიაში. ზორლუ ცდილობდა გაემართლებინა, რომ თურქეთი ხელს უწყობს ამერიკის შეერთებული შტატების აგრესიულ მოქმედებას, რომ მან თავისი ტერიტორია სატრანზიტო ბაზად დაუთმო ლიბანში ამერიკის ჯარების გადაყვანისათვის. თურქეთის მთავრობის ასეთ მოქმედებას მან „კეთილშობილურიც“ კი უწოდა.

ზორლუ ცდილობდა დაემტკიცებინა, რომ გენერალური ასამბლეა ლიბანიდან და იორდანიიდან ამერიკისა და ინგლისის ჯარების გაყვანის საკითხს კი არ უნდა იხილავდეს, არამედ საერთო „პრობლემებს“, რომლებიც დგას შუა აღმოსავლეთის წინაშე და, კერძოდ, ეგრეთწოდებულ „არაპირდაპირ აგრესიას“. თურქეთის წარმომადგენელმა სავსებით დაუჭირა მხარი ამერიკის შეერთებული შტატების პოზიციას.

საუდის არაბეთის დელეგაციის მეთაურმა, გაერთიანებული ერების ორგანიზაციის საქმეთა სახელმწიფო მინისტრმა აჰმედ შუქეირიმ განაცხადა, რომ მისი დელეგაცია მხარს დაუჭერს ყოველ რეზოლუციას, რომელიც მოითხოვს უცხოეთის ჯარების დაუყოვნებლივ გაყვანას არა მარტო ლიბანიდან და იორდანიიდან, არამედ აგრეთვე არაბთა მიწა-წყლის ყოველ კუთხიდან.

შემდეგ სიტყვა წარმოთქვა იაპონიის საგარეო საქმეთა მინისტრმა ფუძიამამ. მან აღიარა, რომ ახლო და შუა აღმოსავლეთში ეროვნული მოძრაობის ზრდა გარდუვალი ეტაპია ისტორიული განვითარების მსვლელობაში. ჩვენ კვლავ ვიცავთ იმ თვალსაზრისს, თქვა მან, რომ ამერიკისა და ინგლისის ჯარების განლაგებამ ლიბანსა და იორდანიაში, რაც გრძელდება, შეიძლება გამოიწვიოს არასასურველი შედეგები. მაგრამ იაპონიის საგარეო საქმეთა მინისტრმა იქვე საჭიროდ დაინახა განეცხადებინა, რომ, მისი აზრით, ლიბანიდან და იორდანიიდან ამერიკის შეერთებული შტატებისა და ინგლისის ჯარების „სწრაფი“ გაყვანისათვის წინასწარ უნდა შეიქმნას „საჭირო პირობები“.

ფუძიამას გამოსვლამ დღეანდელ სხდომაზე ცხადყო, რომ იაპონია კვლავ იცავს პოზიციას, რომელიც მას ამ საკითხში ეკავა თავიდანვე. ერთი მხრივ, იაპონია ცდილობს იმოქმედოს, როგორც აზიის ჯგუფის ერთ-ერთმა წევრმა ქვეყანამ და სიტყვით აღიარებს ამ მიზნით, რომ საჭიროა ამერიკისა და ინგლისის ჯარების გაყვანა ლიბანიდან და იორდანიიდან. მეორე მხრივ, იაპონიას არ სურს უსიამოვნება მიაყენოს შეერთებულ შტატებს და ამიტომ საქმით მხარს უჭერს წინადადებებს, რომლებიც არ უწყობენ ხელს ამერიკისა და ინგლისის ჯარების დაუყოვნებლივ გაყვანას არაბთა ქვეყნების ტერიტორიიდან.

გენერალური ასამბლეის დილის სხდომა დამთავრდა ირანის წარმომადგენლის გამოსვლით.

ნიუ-იორკი, 15 აგვისტო. (საკდესი). გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალური ასამბლეის საგანგებო სპეციალური სესიის დღის სხდომაზე გამოვიდნენ ახალი ზელანდიისა და ბულგარეთის წარმომადგენელნი. ახალი ზელანდიის დელეგატის სიტყვა, თუმცა მას ახალი არაფერი უთქვამს, დამახასიათებელია როგორც იმ ქვეყნების წარმომადგენელთა ყველა გამოსვლისათვის, რომელთაც ბრალი მიუძღვით ლიბანისა და იორდანიის წინააღმდეგ აგრესიის ჩადენაში ან ამ აგრესიისათვის ხელის შეწყობაში, ისე იმ ქვეყნების წარმომადგენელთა გამოსვლებისათვის, რომლებიც დაკავშირებული არიან აგრესორებთან სხვადასხვა სამხედრო ბლოკით.

ვერც ერთმა ამ აგრესიის ადვოკატმა ვერ წამოაყენა რაიმე არგუმენტი იმ საფუძვლიანი საბუთების წინააღმდეგ, რომლებიც დაასახელა საბჭოთა დელეგაციის მეთაურმა სსრ კავშირის საგარეო საქმეთა მინისტრმა ა. ა. გრომიკომ.

ამერიკის პრესა უკვე იუწყებოდა, რომ ლათინური ამერიკის ქვეყნებმა აცნობეს ამერიკის დელეგაციას, რომ ვერ დაუჭერენ მხარს რეზოლუციას, რომელიც ლიბანში ამერიკის ჯარების გაგზავნას გაამართლებდა პრეზიდენტ შამუნის თხოვნის დამოწმებით. ლათინური ამერიკის ქვეყნების წარმომადგენელთა აზრით, წერს დღეს გაზეთი „ნიუ-იორკ ტაიმსი“, „ასეთი პრაქტიკის გამართლება შესაძლებლობას შექმნიდა იმისათვის, რომ ფართო ინტერვენცია მოაწყონ ლათინური ამერიკის ქვეყნების წინააღმდეგ“.

იმ ყალბი არგუმენტების მხილებას, რომლებსაც აგრესიის გასამართლებლად აყენებენ, ძირითადად მიეძღვნა ბულგარეთის საგარეო საქმეთა მინისტრის კარლო ლუკანოვის სიტყვა დღეანდელი დღის სხდომაზე.

ლუკანოვმა განაცხადა, რომ ბულგარეთის მთავრობა და ხალხი განსაკუთრებით შეშფოთებულია მდგომარეობით, რომელიც ახლო აღმოსავლეთში შეიქმნა ლიბანისა და იორდანიის წინააღმდეგ ამერიკის შეერთებული შტატებისა . და ინგლისის აგრესიის შედეგად, რადგან ეს აგრესიული მოქმედება დაიწყო ბულგარეთის ახლოს, და ყოველი ხანძარი ახლო აღმოსავლეთში უშუალო საფრთხეა ბულგარეთისათვის.

ლუკანოვმა დაასახელა აგრესიის ორი მიზეზი. ჯერ ერთი, დასავლეთის მონოპოლიები დაინტერესებული არიან შეინარჩუნონ და გააფართოონ მათ მიერ მიტაცებული ნავთობის სიმდიდრე, და, მეორე, იმპერიალისტური ძალები ისწრაფვიან მსოფლიოს ეს რაიონი გიზბადონ სტრატეგიულ ბაზად ახლო და შუა აღმოსავლეთში მზარდი ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის წინააღმდეგ, აგრეთვე სსრ კავშირისა და სხვა სოციალისტური ქვეყნების წინააღმდეგ მოქმედებისათვის.

ბულგარეთის საგარეო საქმეთა მინისტრმა მოუწოდა ასამბლეას თავი არავის დაამშვიდებინოს იმ პროპაგანდისტული განცხადებებით, რომ ახლო და შუა აღმოსავლეთში ახალი სამხედრო კონფლიქტის წარმოშობის რაიმე საფრთხე არ არისო. ასეთი მტკიცების მიზანია, თქვა მან, მხოლოდ ის, რომ მიაძინონ ხალხთა სიფხიზლე, დაფარონ საქმის ნამდვილი ვითარება და ამრიგად საშუალება მისცენ აგრესორებს მარჯვე მომენტი იშოვონ მათი ახალი ზრახვების განსახორციელებლად. ვერავინ ვერ დაიჯერებს ინგლისისა და ამერიკის შეერთებული შტატების წარმომადგენელთა განცხადებებს მათი „მშვიდობიანი განზრახვების“ შესახებ მანამდე, სანამ მათი ჯარები ლიბანისა და იორდანიის ტერიტორიაზე არიან.

ბულგარეთის საგარეო საქმეთა მინისტრმა მხარი დაუჭირა საბჭოთა რეზოლუციის პროექტს.

გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალური ასამბლეის შემდეგი სხდომა გაიმართება 18 აგვისტოს.

ა. ა. გრომიკოს შეხვედრა ერაყის რესპუბლიკის საგარეო საქმეთა მინისტრთან ა. ჯ. ჯუმარდთან

ნიუ-იორკი, 15 აგვისტო. (საკდესი). გუშინ სსრ კავშირის საგარეო საქმეთა მინისტრი ა. ა. გრომიკო ესაუბრა ერაყის რესპუბლიკის საგარეო საქმეთა მინისტრს ა. ჯ. ჯუმარდს.

საუბარი შეეხებოდა ახლო და შუა აღმოსავლეთში არსებული მდგომარეობის საკითხებს, აგრეთვე გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალური ასამბლეის საგანგებო სესიის მუშაობას.

ინდოეთის დამოუკიდებლობის მე-11 წლისთავის დღესასწაული

დელი, 15 აგვისტო. (საკდესი). დღეს ინდოელი ხალხი აღნიშნავს თავისი დამოუკიდებლობის მე-11 წლისთავს. წითელ ფორტში — ინდოეთის დედაქალაქის ციხე-სიმაგრეში გაიმართა ამ ღირსშესანიშნავი მოვლენისადმი მიძღვნილი საზეიმო ცერემონია. ინდოეთის ეროვნული ჰიმნის ხმაზე პრემიერ-მინისტრმა ჯავაჰარლალ ნერუმ აღმართა ინდოეთის რესპუბლიკის სახელმწიფო ალამი ციხე-სიმაგრეზე, რომელიც სიმბოლოა ინდოელი ხალხის ბრძოლისა თავისუფლებისათვის.

შემდეგ ნერუმ სიტყვით მიმართა ინდოეთის დედაქალაქის მრავალ წარმომადგენელს, რომლებიც წითელი ფორტის წინ შეიკრიბნენ. დამოუკიდებლობის დროიდან, თქვა ნერუმ, 11 წელი გავიდა. ეს წლები იყო წარმატებათა და ნაკლოვანებათა წლები, სხვადასხვა დაბრკოლების წლები. ნაგრამ, აღნიშნა ნერუმ, ინდოეთს ნათელი მომავალი აქვს, ინდოეთის მიზანია სოციალიზმის აშენება.

შეეხო რა საერთაშორისო პრობლემებს, პრემიერ-მინისტრმა ილაპარაკა დასავლეთ აზიაში არსებულ მდგომარეობაზე. მან თქვა, რომ დაძაბულობა ამ რაიონში რამდენადმე შენელდა.

მაგრამ უცხოეთის ჯარები ჯერ კიდევ არიან იქ საბრძოლველად გამზადებულნი, და ამიტომ საფრთხე ჯერ კიდევ არ არის განვლილი. ნერუმ იმედი გამოთქვა, რომ დასავლეთ აზიის ქვეყნების ხალხები მიაღწევენ თავისუფლებასა და დამოუკიდებლობას.

ინდოეთის დამოუკიდებლობის დღის ღღესასწაულის გამო ინდოეთის რესპუბლიკის პრეზიდენტმა რაჯენდრა პრასადმა წერილით მიმართა ინდოელ ხალხს, რომელშიც თანამემამულეებს უსურვა შემდგომი წარმატებები ინდოეთის ეკონომიური და პოლიტიკური განვითარების საქმეში.

დამოუკიდებლობის დღისადმი მიძღვნილი საზეიმო ცერემონიები გაიმართა აგრეთვე ბომბეიში, კალკუტაში, მადრასსა და ბევრ სხვა ქალაქში.

დღეს დელში პრეზიდენტის სასახლეში რესპუბლიკის ვიცე-პრეზიდენტმა ს. რადჰაკრიშნანმა დიდი დარბაზობა გამართა ინდოეთის დამოუკიდებლობის დღის გამო.

კ. ე. ვოროშილოვი ბელგიაში

ბრიუსელი, 15 აგვისტო. (საკდესი). სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე კ. ე. ვოროშილოვი და მისი თანმხლებნი სსრ კავშირის ჯანმრთელობის დაცვის მინისტრი მ. დ. კოვრიგინა, სსრ კავშირის კულტურის მინისტრის პირველი მოადგილე ს. ვ. კაფტანოვი და სსრ კავშირის ელჩი ბელგიაში ვ. ი. ავილოვი დღეს დილით ეცნობოდნენ ბელგიის დედაქალაქის ღირსშესანიშნაობებს.

სრულ 10 საათზე ავტომობილთა კორტეჟი მივიდა დიდ მოედანზე, სადაც საბჭოთა სტუმრებს შეხვდა ბრიუსელის ათასობით მცხოვრები. კ. ე. ვოროშილოვი და მისი თანმხლები პირები გადმოვიდნენ მანქანებიდან და გაემართნენ ქალაქის რატუშის შენობისაკენ, რომელიც სადღესასწაულოდ მორთული იყო ბელგიისა და საბჭოთა კავშირის ალმებით. რატუშაში მათ შეხვდნენ ბრიუსელის ბურგომისტრი კოორემანსი, ბელგიის დეპუტატთა პალატის ვიცე-თავმჯდომარე ბრიუნფო, ქალაქის კომუნალური საბჭოს წევრები.

მიმართა რა კ. ე. ვოროშილოვს, ბურგომისტრმა კოორემანსმა წარმოთქვა მოკლე სიტყვა, რომელშიც, კერძოდ, განაცხადა: „თქვენი მოსვლა ქალაქის რატუშაში დიდი პატივია ჩვენთვის, ბრიუსელის მცხოვრებლებისათვის. ყველა ბრიუსელელის სახელით მხურვალედ მოგესალმებით თქვენ და თქვენი სახით საბჭოთა კავშირის ხალხებს“.

კ. ე. ვოროშილოვმა მადლობა გადაუხადა ქალაქის ხელისუფალთა წარმომადგენლებს გულთბილი მიღებისათვის. ჩვენ, თქვა მან, დიდად კმაყოფილი ვართ თქვენს ქვეყანაში მოგზაურობით, თქვენი ქალაქის ღირსშესანიშნაობათა გაცნობით. მაგრამ კიდევ უფრო კმაყოფილი ვართ ჩვენ ბელგიის მშვენიერ შრომისმოყვარე ხალხთან შეხვედრებით. ამისათვის თქვენ ყველას დიდ მადლობას გიძღვნით და პირობას გაძლევთ სამუდამოდ შევინახოთ ჩვენს გულში თბილი გრძნობები თქვენი სტუმართმოყვარე ხალხისა და თქვენი ქვეყნისადმი.

კ. ე. ვოროშილოვი და მისი თანმხლები პირები გაეცნენ XV საუკუნის დამდეგს აგებული ძველი რატუშის სამუშაო კაბინეტებსა და დარბაზებს და გავიდნენ აივანზე. რატუშის წინ მოედანზე შეკრებილი ათასობით ადამიანი მხურვალედ მიესალმა სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარეს. გაისმა ძქუხარე ტაში, მისალმების შეძახილები საბჭოთა ხალხისა და ბელგიელ-საბჭოთა კავშირის მეგობრობის პატივსაცემად.

შემდეგ კ. ე. ვოროშილოვი და მისი თანმხლები პირები ავტომანქანებით გაემართნენ ქალაქის მთავარი მაგისტრალებით, დათვალიერეს არქიტექტურულად ყველაზე საინტერესო შენობები და ნაგებობანი.

ქალაქში მოგზაურობისას კ. ე. ვოროშილოვს ახლდნენ მეფის პირადი ადიუტანტი გენერალ-მაიორი ბიურნიო და ბელგიის ელჩი სსრ კავშირში ლორდანი.

კ. ე. ვოროშილოვი ბრიუსელიდან გამოემგზავრა

ბრიუსელი, 15 აგვისტო. (საკდესი). დღეს 14 საათსა და 40 წუთზე ბრიუსელის დროით (16 საათსა და 40 წუთზე მოსკოვის დროით) ამხ. კ. ე. ვოროშილოვი და მისი თანმხლები პირები „ტუ-104“ თვითმფრინავით ბრიუსელიდან მოსკოვს გაფრინდნენ.

მძიმე დანაკლისი

პარიზი, 15 აგვისტო. (საკდესი). გუშინ საღამოს საფრანგეთის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის დელეგაცია რამონ გიუიოს, ფრანსუა ბიიუსა და როჟე გაროდის შემადგენლობით მივიდა პარიზის სენტ-ანტუანის საავადმყოფოში, სადაც გარდაცვალა ფრედერიკ ჟოლიო-კიური. დელეგაციამ პატივი სცა განსვენებულის ხსოვნას და სამძიმარი გამოუცხადა ოჯახს.

დღეს დილით სსრ კავშირის ელჩი საფრანგეთში ს. ა. ვინოგრადოვი მივიდა სენტ-ანტუანის საავადმყოფოში და პატივი სცა პროფესორ ჟოლიო-კიურის ხსოვნას.

გუშინდელი დღიდან საფრანგეთის მშვიდობის ეროვნული საბჭოს სახელზე მოდის უამრავი დეპეშა სხვადასხვა ქვეყნის მშვიდობის მომხრეებისაგან, რომლებიც დიდ მწუხარებას გამოთქვამენ მძიმე დანაკლისის გამო.

ასეთი დეპეშები მიღებულია მშვიდობის მსოფლიო საბჭოს ხელმძღვანელებისაგან, ბელგიისა და დიდი ბრიტანეთის მშვიდობისათვის მებრძოლთაგან.

საფრანგეთის მეცნიერებათა აკადემიის წევრმა პროფესორმა ლებრენს რენგემ განაცხადა, რომ ფრედერიკ ჟოლიო-კიურის სიკვდილი უდიდესი დანაკლისაა საფრანგეთის მეცნიერებისათვის. ჩვენ არ დავიწყებთ, თქვა მან, რომ მეცნიერება ფრედერიკ ჟოლიო-კიურისა და მისი მეუღლეს ირენ ჟოლიო-კიურის უნდა უმადლოდეს ხელოვნური რადიაქტიურობის აღმოჩენას. მეცნიერული კვლევისა და ტექნიკური პროგრესის უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარემ, საფრანგეთის ყოფილმა მინისტრმა ბ-ნმა ლონშამბონმა თავის განცხადებაში ხაზგასმით აღნიშნა, რომ პროფესორ ფრედერიკ ჟოლიო-კიურის უდროოდ გარდაცვალებამ, რაც მოხდა ირენ ჟოლიო-კიურის გარდაცვალების შემდეგ, საფრანგეთის ატომის ფიზიკას გამოაცალა მისი ყველაზე თვალსაჩინო წარმომადგენელი“.

ფრანს პრესის სააგენტომ გამოაქვეყნა ფრედერიკ ჟოლიო-კიურისადმი მიძღვნილი ნეკროლოგი, რომელშიც ახასიათებს მას როგორც გამოჩენილ ადამიანსა და მეცნიერს. „ფრედერიკ ჟოლიო-კიურის სახით, — ნათქვამია ამ ნეკროლოგში, — გაქრა ერთ-ერთი იმ ოთხ ან ხუთ დიდ ფიზიკოსს შორის, რომლებმაც შექმნეს მეცნიერება ატომის ენერგიის შესახებ“.

ფრედერიკ ჟოლიო-კიურის ხსოვნისათვის

საფრანგეთის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტი მწუხარებით აუწყებს ფრანგ ხალხს, აგრეთვე მსოფლიოს ყველა ქვეყნის ხალხებს ამხანაგ ფრედერიკ ჟოლიო-კიურის გარდაცვალებას. საფრანგეთის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის განცხადებაში აღნიშნულია, რომ საფრანგეთის კომუნისტური პარტია ჟოლიო-კიურის პატივს სცემს როგორც მოქალაქეს, მებრძოლს, ჰუმანისტს, რომელიც ერთგული იყო რომენ როლანისა და პოლ ლანჟევენის ტრადიციებისა, რომელთა საზოგადოებრივი მოვალეობის შეგნება ისევე მაღალი იყო, როგორც მათი მეცნიერული დონე.

მთელი საბჭოთა ხალხი, მთელი პროგრესული კაცობრიობა დიდად გლოვობს გამოჩენილი მეცნიერისა და საზოგადო მოღვაწის ფრედერიკ ჟოლიო-კიურის გარდაცვალებას. ღრმა სამძიმარს უცხადებენ ფრანგ ხალხსა და განსვენებულის ოჯახს სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდიუმი, საბჭოთა კავშირის მშვიდობის დაცვის კომიტეტი, საერთაშორისო ლენინური პრემიების კომიტეტი, უცხო ქვეყნებთან მეგობრობისა და კულტურული ურთიერთობის საბჭოთა საზოგადოებების პრეზიდიუმი, „სსრ კავშირ-საფრანგეთის“ საზოგადოების გამგეობა და ბევრი სხვა ორგანიზაცია.

(საკდესი).

ფრედერიკ ჟოლიო-კიურის დაკრძალვა მოხდება 19 აგვისტოს

პარიზი, 15 აგვისტო. (საკდესი). საფრანგეთის მთავრობამ მიიღო გადაწყვეტილება უკანასკნელი ვალი მოიხადოს გამოჩენილი მეცნიერისა და მოქალაქის ფრედერიკ ჟოლიო-კიურის წინაშე და მოაწყოს ეროვნული დაკრძალვა, რომელიც დანიშნულია 19 აგვისტოს.

დღეს საფრანგეთის რესპუბლიკის პრეზიდენტის წარმომადგენელი მივიდა სენტ-ანტუანის საავადმყოფოში, სადაც დასვენებულია კუბო ჟოლიო-კიურის ცხედრით, და პატივი სცა გამოჩენილი მეცნიერის ხსოვნას. საფრანგეთის მთავრობის მეთაურმა დე გოლმა განსვენებულის ოჯახის წევრებს გაუგზავნა დეპეშა, რომელშიც სამძიმარს გამოთქვამს მძიმე დანაკლისის გამო.

უნდა შეწყდეს ზეიმი იორდანიაში

იორდანიის ეროვნული ფრონტის მიმართვა

დამასკო, 15 აგვისტო. (საკდესი). იორდანიის ეროვნული ფრონტის ხელმძღვანელობამ გაერთიანებული ერების ორგანიზაციის ადამიანის უფლებათა საკითხის კომისიის, დემოკრატ იურისტთა საერთაშორისო ასოციაციის (ბრიუსელში), ქალთა საერთაშორისო დემოკრატიული ფედერაციის, პროფკავშირთა მსოფლიო ფედერაციისა და სხვა საერთაშორისო დემოკრატიული ორგანიზაციების სახელზე გაგზავნა შემდეგი შინაარსის დეპეშა: „ინგლისელი იმპერიალისტები იორდანიის რეაქციულ მმართველებთან ერთად, ცდილობენ რა სამუდამოდ დაამჯვიდრონ ინგლისელთა ოკუპაცია და წაართვან იორდანიელ ხალხს თვითგამორკვევისა და განთავისუფლების უფლება, აბორიგენებენ ტერორის ფართო კამპანიას იორდანიელი ხალხის წინააღმდეგ. მათ საპატიმროებსა და საკონცენტრაციო ბანაკებში ჩასვეს ათასობით სტუდენტი, ახალგაზრდა პატრიოტი, კულტურის მოღვაწე, ოფიცერი, ჯარისკაცი, მუშა და გლეხი, ქალი და მამაკაცი. ამ ცოტა ხნის წინათ სამხედრო ტრიბუნალმა სიკვდილის განაჩენი გამოუტანა 13 პატრიოტს, წაუყენა რა მათ ყალბი ბრალდება, და სამუდამო პატიმრობა მიუსაჯა 10 სხვა პატრიოტს.

ჩვენ მოგიწოდებთ ხმა აიმაღლოთ ამ პატრიოტების გადასარჩენად, მოითხოვოთ ინგლისის ჯარების გაყვანა იორდანიიდან და იმ მხეცურ დანაშაულთა შეწყვეტა, რომლებსაც მშვიდობისმოყვარე იორდანიელი ხალხის წინააღმდეგ სჩადიან“.

ფოტოაპარატით საქართველოს ძალაძეგსა და სოფლეგში





ჩვენი თვალწარმტაცი სამშობლოს რომელ კუთხეშიც არ უნდა შედგათ ფეხი, ყველგან იგრძნობა ჩვენი ცხოვრების მძლავრი მაჯისცემა. ყველგან, შავი ზღვის სანაპიროდან სვანეთის მაღალ მთებამდე ხაბჭოთა ადამიანები ერთი სულისკვეთებით, ერთნაირი გატაცებით შრომობენ, ქმნიან და შრომითვე მოიპოვებენ დასვენების უფლებას.

სურათებზე: ქვემოთ — სალამოჟამი შავი ზღვის სანაპიროზე; შუაში — კვირადღე თბილისის ზღვაზე; ზემოთ — ზემო სვანეთის მაღალმთიანი სოფელი ჭოლა.

სპორტის ამბები

მეუნაგლეობა V სპარტაკიადაზე

ჩვენი რესპუბლიკის დედაქალაქის სპორტო ბაზებზე შეუნელებელი ინტერესით მიმდინარეობს მოსწავლეთა V საკავშირო სპარტაკიადის პროგრამით გათვალისწინებული ასპარეზობები.

გუშინ დაიწყო დასკვნითი შეხვედრები კალათბურთში, ფრენბურთში და სპორტის სხვა სახეობებში. ბრძოლა მიმდინარეობს ქვეჯგუფებში გამარჯვებულ უმაღლიერეს კოლექტივებს შორის, როგორც ჩემპიონის გამოსავლინებლად, აგრეთვე მომდევნო ადგილების მოსაპოვებლად.

16 აგვისტოს დილის მატჩებიდან საინტერესო უურადღებას იპყრობდა პირველი ორი ადგილისათვის მებრძოლ მოსკოვისა და ესტონეთის ჩოგბურთელ გოგონათა გუნდების ასპარეზობა. ორივე გუნდმა ეს შეჯიბრება მაღალ სპორტულ დონეზე ჩაატარა. გაიმარჯვეს დედაქალაქის ჩოგბურთელებმა ანგარიშით 4:3, რომლებიც პირველ ადგილზე გამოვიდნენ. მეორე ადგილი დაიკავა ესტონეთის სპორტსმენთა კოლექტივმა. ამავე დღეს მეშვიდე-მერვე და მეცხრე-მეათე ადგილებისათვის იბრძოდნენ რსფსრ-სომხეთისა და ლიტვა-ბელორუსიის გუნდები. შეხვედრები მოიგეს რსფსრ და ლიტვის ჩოგბურთელებმა 4:3, 5:2.

პირველი 8 ადგილისათვის მებრძოლ ჭაბუკ კალათბურთელთა კოლექტივების ასპარეზობა გაიმართა დღის მეორე ნახევარში. დილით მიმდინარეობდა აგრეთვე მომდევნო ადგილებისათვის მებრძოლი გუნდების შეჯიბრება. მატჩების შედეგები ასეთია: გოგონათა გუნდები — ახერბაიჯანი-ბელორუსია 32:52, ლენინგრადი-გზათა სამინისტრო 51:38, მოლდავეთი-უზბეკეთი 29:52, ტაჯიკეთი-ყაზახეთი 50:64; ჭაბუკები — ლენინგრადი-ბელორუსია 47:52, რსფსრ-მოსკოვი 45:60, გზათა სამინისტრო-უზბეკეთი 66:91, ტაჯიკეთი-სომხეთი 43:67.

გუშინ დაიწყო მაგიდის ჩოგბურთელთა დასკვნითი შეხვედრები. პირველ 8 ადგილისათვის მებრძოლმა გუნდმა მატჩები ასე დაამთავრეს: გოგონები — შრომითი რეზერვები-მოსკოვი 1:10, გზათა სამინისტრო-ლენინგრადი 2:9, ესტონეთი-ლატვია 10:1, უკრაინა-ლიტვა 1:10; ჭაბუკები — რსფსრ-შრომითი რეზერვები 3:8, ლენინგრადი-ლიტვა 3:8, გზათა სამინისტრო-ლატვია 6:5, მოსკოვი-ესტონეთი 2:9.

გუშინ წარმატებით მიმდინარეობდა აგრეთვე ფრენბურთელთა, წყალბურთელთა და ფეხბურთელთა ასპარეზობები.

დღეს გაიმართება მორიგი შეხვედრები სპარტაკიადის პროგრამით გათვალისწინებულ სპორტის სხვადასხვა სახეობაში. ბრძოლაში ჩაებმებიან მძლეოსნები, მცურავები, მსროლელები.

მაღალი სპორტული შედეგებით

რამდენიმე დღის შეუპოვარი ბრძოლის შემდეგ კიევში დამთავრდა სსრ კავშირის შეიარაღებულ ძალთა სპარტაკიადა, რომლის პროგრამაში იყო სპორტის სხვა დასხვა სახეობა.

შეჯიბრებამ ცხადყო შეიარაღებულ ძალთა სპორტსმენების მაღალი სპორტული მომზადება. ასპარეზობის დღეებში დამყარებულ იქნა 12 ახალი რეკორდი, მათ შორის 4 საკავშირო და 3 მსოფლიო.

ვაჟთა გუნდებს შორის საერთო პირველი ადგილი მოსკოვის სამხედრო ოლქის სპორტსმენებმა მოიპოვეს. ქალთა კოლექტივებს შორის უძლიერესი იყო ოდესის სამხედრო ოლქის გუნდი.

გამარჯვებულებს საზეიმოდ გადაეცათ ჯილდოები.

ერთ წრედ

საკავშირო ფიზკულტურისა და სპორტის კომიტეტის გადაწყვეტილებით მიმდინარე წლიდან „ა“ კლასის ფეხბურთელთა კოლექტივების დუბლიორთა ასპარეზობა გაიმართება ერთ წრედ.

ამასთან დაკავშირებით დღემდე გამართულ დუბლიორთა გუნდების მეორე წრის მატჩების შედეგები გაუქმებულა.

მართალია ყველა გუნდს პირველი წრის მატჩები ჯერ კიდევ არ დაუმთავრებია, მაგრამ ამას პირველი ადგილისათვის გაკვლევის მოხდენა არ შეუძლია. გაიმარჯვა მოსკოვის „სპარტაკის“ დუბლიორთა გუნდმა.

რედაქტორი პ. რატიანი.

დღეს

ფილარმონიის ხაზაფხულო თეატრში მუდამ სატრფოსთან (დღისით, 12 ს.), ბალი სავოიაში (საღამოს 8 ს. 30 წ., ოდესის მუსიკალური კომედიის თეატრის სპექტაკლი).

კინოთეატრებში

ოქტომბერი, ისანი (საზამთრო), საქართველო (წითელი დარბაზი), პლეხანოვის სახელობის კლუბი, ჭავჭავაძის სახელობის კლუბი — საქმე ჯერ არ დამთავრებულა, ამირანი (საზამთრო, სპარტაკი, კომკავშირელი, 26 კომისრის სახელობის (მეორე დარბაზი), გორკის სახელობის ცენტრალური კულტურის სახლი (საზაფხულო), კომუნარების ბაღი — როცა გრძნობა იმარჯვებს გონებაზე, ფილარმონიის ბაღი, კოლხიდა (საზაფხულო) — მხიარული ახალგაზრდობა, თბილისი, კოლხიდა (საზამთრო), დიდუბე (საზამთრო) — მისტერ იქსი, ვაკის პარკი — აბებარა, 26 კომისრის სახელობის (პირველი დარბაზი) — მაქსიმე პერეპელიცა, საქართველო (მწვანე დარბაზი), ძერჟინსკის სახელობის კლუბი (საზაფხულო), ოფიცერთა სახლი, ორჯონიკიძის სახელობის კულტურისა და დასვენების ცენტრალური პარკი — ძალად მძღოლი, ისანი (საზაფხულო) — ცეცხლოვანი ვერსები, კიროვის სახელობის პარკი — 1918 წელი (დები — II სერია), პლეხანოვის სახელობის კლუბი (საზაფხულო) — 1918 წელი (დები — I და II სერია), კოლმეურნე — სისხლიანი გზა, დიდუბე (საზაფხულო) — ივანე მრისხანე, ყაზბეგი — მე შევხვდი ქალიშვილს.

ტელეგადაცემათა პროგრამა

17 აგვისტოსათვის

12.00 — ყველაზე პატარებისათვის — ნახატი ფილმი „ხელმარჯვე ოსტატის თავგადასავალი“, 12.30 — კომკავშირის 40 წლისთავისადმი მიძღვნილი კინოფესტივალის მეხუთე დღე. მხატვრული ფილმი „ისინი გამოვიდნენ ტყიდან“, 17.45 — მოსწავლეთა საკავშირო სპარტაკიადის გახსნა. რეპორტაჟი თბილისის „დინამოს“ სტადიონიდან, 20.00 — გადაცემა საბჭოთა არმიის მებრძოლთათვის, 20.20 — კონცერტი საბჭოთა არმიის მებრძოლთათვის, 20.50 — მხატვრული ფილმი „დროშები კოშკებზე“.

18 აგვისტოსათვის

20.00 — კომკავშირის 40 წლისთავისადმი მიძღვნილი გადაცემა — „ბორის ძნელაძე“, 20.30 — კინოჟურნალი, 20.40 — გადაცემა, მიძღვნილი კომპოზიტორ დ. არაყიშვილისადმი, 21.05 — მხატვრული ფილმი „ერთი ქალის ცხოვრება“.

რედაქციისა და გამომცემლობის მისამართი: თბილისი, ლენინის ქ. № 14. **ტელეფონები:** **რედაქტორის** — 3-62-26, **რედაქტორის მოადგილეების** — 3-63-03, 3-82-05, 3-32-46, **პასუხისმგებელი მდივნის** — 3-72-80, **სამდივნოსი** — 3-06-88, **განყოფილებებისა:** **პარტიული ცხოვრების და მარქსისტულ-ლენინური თეორიის პროპაგანდის** — 3-81-84, **მრეწველობისა და** **ტრანსპორტის, ადგილობრივი ინფორმაციის** — 3-16-90, **სოფლის მეურნეობის** — 3-20-43, **კულტურისა და ყოფაცხოვრების, ლიტერატურისა და ხელოვნების** — 3-80-84, **საბჭოთა** **მშენებლობის, კორესპონდენტთა ქსელისა და პრესის მიმოხილვის** — 3-57-61, **უცხოეთის ინფორმაციის** — 3-80-83, **წერილებისა და პარტბიუროსი** — 3-73-24, **საილუსტრაციო** — 3-08-67, **განცხადებების მიღების** — 3-64-42, **გამომშვების** — 3-81-65,

ᲣᲔ 03770 **საქართველოს კპ ც. კ-ის გამომცემლობის პოლიგრაფიული კომბინატი „კომუნისტი“, ლენინის ქ. № 14.** 2